ადამიანის უფლებები საქართველოში

2023

ადამიანის უფლებები საქართველოში

2023

თბილისი

დეკემბერი 2023

სარჩევი

შესავალი 3

1. სამოქალაქო სივრცე და უფლებადამცველთა მდგომარეობა 6

1.1. რუსული კანონი 6

1.2. მტრული გარემო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და წარმომადგენლებისთვის 8

2. გამოხატვისა და მედიის თავისუფლება 11

2.1. ონლაინ გამოხატვის შეზღუდვა წვრლიმანი ხულიგნობის საფუძვლით 11

2.2. გამოხატვისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა ახალი ბრძანებების საფუძველზე 11

2.3. ცილისწამების საფუძვლით დაწყებული ე.წ. SLAPP დავები 13

2.4. ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები 15

2.5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები 20

3. შემოქმედების თავისუფლება და კულტურის სფერო 24

3.1. საკადრო ცვლილებები კულტურის სფეროში 24

3.2. კინოცენტრსა და მწერალთა სახლში განვითარებული მოვლენები 24

4. შეკრების თავისუფლება 26

4.1. მარტის საპროტესტო აქციების დარბევა 26

4.2. ადმინისტრაციული დაკავებებისა და სამართალწარმოების პრაქტიკა 28

4.3. პრაიდ ფესტივალის ჩაშლა 32

4.4. შეკრების თავისუფლების მზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები 34

5. თანასწორობა 36

5.1. თავდაცვის კოდექსი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები 36

5.2. ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა ლგბტქი+ თემის მიმართ 37

5.3. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი 38

5.4. სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით მოტივირებული (შრომითი) დავები 39

6. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება 41

6.1 ევროკომისიის რეკომენდაციები 41

6.2 გავლენები მართლმსაჯულების სისტემაზე 42

6.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა 47

7. პოლიტიკური პროცესები და ადამიანის უფლებები 49

7.1. ადამიანის უფლებები და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 49

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) წინამდებარე ანგარიშში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საქართველოში 2023 წელს არსებული მდგომარეობა. დოკუმენტში თემატურად არის მიმოხილული წლის ის ძირითადი მოვლენები, რომელთა ანალიზი აჩვენებს, თუ რამდენად ასრულებს საქართველოს ხელისუფლება თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლის უზენაესობის სფეროებში.

2023 წელს საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა „რუსული კანონი", რომელიც წარმოადგენდა უპრეცენდენტო ინსტიტუციურ თავდასხმას საერთაშორისო და ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებზე. კანონპროექტს პირველ ეტაპზე იდეურად, ხოლო შემდგომ საპარლამენტო უფლებამოსილების ფარგლებში მხარი დაუჭირა და პირველი მოსმენით მიიღო მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, ქართულმა ოცნებამ. კანონპროექტი რუსეთში მოქმედი მსგავსი კანონის რეპრესიული შედეგების გათვალისწინებით, წარმოადგენდა საფრთხეს ქართული დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. კანონპროექტის წინააღმდეგ მწვავე კრიტიკისა და ხალხმრავალი დემონსტრაციების შემდეგ, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი მეორე მოსმენით განიხილა და ჩააგდო. მიუხედავად ამისა, GDI-ის დაკვირვებით, ქვეყანაში შენარჩუნდა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ მტრული გარემო, რომელიც გამოიხატა სამოქალაქო საზოგადოების წევრების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიაში, აგრესიულ რიტორიკასა და თავდასხმებში; შენარჩუნდა ხელისუფლების მხრიდან სივრცის შეზღუდვა სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ამ მხრივ საყურადღებოა სახელოვნებო სფეროსთვის გამართულ ტრენინგზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებები და ე.წ. „რევოლუციის" საბაბზე დაყრდნობით დაწყებული გამოძიება, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხნენ ხელოვნების სფეროსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების კუთხით, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარი არხის" დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას შეწყალების ფაქტი. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების შევიწროება და მათზე ზეწოლა. ამასთან, პარლამენტში მედიის აკრედიტაციისა და უსაფრთხოების ახალი წესებისა და „მაუწყებლობის შესახებ" კანონში ცვლილებების მიღების შედეგად შეიქმნა თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების ახალი რისკები. რაც შეეხება კანონმდებლობისა და სამართლებრივი მექანიზმების ბოროტად გამოყენების პრაქტიკას, ამ მხრივ გაგრძელდა ცილისწამების საბაბით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მათ

შორის მედიის წინააღმდეგ სარჩელების (SLAPP-ების) ტენდენცია და გამოვლინდა ონლაინ სივრცეში გამოხატვისთვის დაჯარიმების საშიში პრეცედენტები. გარდა ამისა, ისევ საგანგაშოა ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიული და მადისკრედიტებელი რიტორიკა.

შემოქმედების თავისუფლების მხრივ, კულტურის სფეროში სავარაუდო საკადრო წმენდის ფონზე, საყურადღებოა, რომ 2023 წელს რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა კულტურის სფეროში სხვადასხვა დაწესებულებებიდან თანამშრომლების გათავისუფლების უკანონობა. გარდა ამისა, აღსანიშნავია კინოცენტრსა და მწერალთა სახლში ხელმძღვანელთა დანიშვნის მიმართ ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროტესტი სფეროს დამოუკიდებლობის დასაცავად.

2023 წელს კვლავ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა შეკრების თავისუფლების სრულყოფილად რეალიზება. კერძოდ, მარტში ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების წინააღმდეგ გამართული საპროტესო აქციები სამართალდამცავებმა კანონის დარღვევით და არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაარბიეს. გარდა ამისა, გაგრძელდა სამართალდამცავთა მიერ ადმინისტრაციული წესით აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავებისა და სასამართლოს მიერ მათი გასამართლებისა და დასჯის მახინჯი პრაქტიკა, რომელიც უგულებელყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს და ინსტრუმენტად იყენებს ამ სტანდარტებთან შეუთავსებელ, 1984 წელს მიღებულ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს. შეკრების თავისუფლებაში გაუმართლებლად ჩარევის გარდა, ხელისუფლება კვლავ არ არსულებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ლგბტქი+ თემის წევრებისა და მხარდაჭერების მიერ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა. კერძოდ, 2023 წლის 8 ივლისს სიძულვილის ჯგუფებმა „პრაიდ ფესტივალი“ ჩაშალეს, რისი პრევენციისთვისაც ხელისუფლებამ არ მიიღო სათანადო ზომები და არსებითად დაირღვა ლგბტქი+ ადამიანთა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებები. გარდა ამისა, შეკრების თავისუფლების კუთხით, საგანგაშოა კანონმდებლობის გაუარესების საფრთხეც. პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები, რომლებიც ადგენს შეკრება-მანიფესტაციისას დროებითი კონსტრუქციის მოწყობის აკრძალვის ახალ საფუძვლებს. საკანონმდებლო ცვლილებებს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო. კანონპროექტებით შეკრების თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის რისკები გააკრიტიკა როგორც სახალხო დამცველმა, ისე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR).

თანასწორობის დაცვის კუთხით, 2023 წელს, სამწუხაროდ, გაუარესდა კანონმდებლობა. კერძოდ, თავდაცვის სფეროში მიღებული მოწესრიგებით ალტერნატიულ შრომითი სამსახურს დაექვემდებარნენ სასულიერო პირები, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა, რომლებიც კონსტიტუციური შეთანხმებით გათავისუფლებული არიან სამხედრო ვალდებულებისგან. შესაბამისად, სხვა არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციები/რელიგიური უმცირესობები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან. უმცირესობათა ჯგუფების თანასწორობის მხრივ, გამოწვევას წარმოადგენდა ანტი-ლგბტ რიტორიკაც, ასევე პრობლემური იყო სამოქალაქო საზოგადოებასთან არასათანადო თანამშრომლობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადებისას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სასამართლოებმა დაადგინეს სხვადასხვა ა(ა)იპ-დან თუ საჯარო დაწესებულებიდან გათავისუფლებათა უკანონობა შრომით დავებში, რომლებშიც მოსარჩელეები თავიანთ გათავისუფლებებს პოლიტიკურ მოტივს უკავშირებდნენ.

2023 წელს შენარჩუნდა სერიოზული გამოწვევები სასამართლო სისტემაში. ევროკავშირში გაწევრიანების სწრაფვის ფონზე, შეუსრულებელი რჩება ევროკომისიის რეკომენდაცია სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე, სადაც მხოლოდ შეზღუდული პროგრესია. გარდა ამისა, კვლავ აღმოუფხვრელია სასამართლო სისტემაზე არაფორმალური გავლენები, რასაც მიუთითებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქციების დაწესება მოქმედ და ყოფილ მოსამართლეებზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის პროცესი და საკადრო ცვლილებები სასამართლო სისტემაში. ამასთანავე, 2023 წელს პრობლემური იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა ჩატარება და მიმდინარეობა.

უფრო ფართო კონტექსტში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. სტატუსის მინიჭების შესახებ რეკომენდაციასთან ერთად, ევროკომისიამ საქართველოსთან მიმართებით გამოყო შემდგომი 9 ფუნდამენტური ნაბიჯი ინსტიტუციური რეფორმების, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების, ანტი ევროპულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის, საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოების და სხვა ფუნდამენტური საკითხების გამოსწორების კუთხით.

დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მოითხოვს პოლიტიკური ნების არსებობას, რაც გამოიხატება ხელისუფლების მიერ ქვეყანაში ადამიანის

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზრუნვაში და სამართლის უზენაესობის პატივისცემაში. ეს არის ის საფუძველი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობის მიღწევა. ანგარიშში განხილული გამოწვევების გადაჭრა კი სწორედ ამ მშენებლობის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც არსებითი გავლენა ექნება როგორც ქვეყნის ევროინტეგრაციაზე, ისე საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ამდენად კეთილდღეობის მიღწევაზე.

1. სამოქალაქო სივრცე და უფლებადამცველთა მდგომარეობა

1.1. რუსული კანონი

2023 წლის თებერვალში პარლამენტართა ჯგუფმა კანონპროექტის სახით დააინიცირა ე.წ. „რუსული კანონი“.[1] კანონპროექტი შეიცავდა „უცხოური გავლენის აგენტის“ დეფინიციას, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა იყო შემოსავლის 20%-ზე მეტის მიღება „უცხოური ძალისგან“.[2] შესაბამისად, ამ დეფინიციის ფარგლებში ექცეოდა საქართველოში მოქმედი სამოქალაქო/არასამთავრობო ორგანიზაციების და ონლაინ მედიიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ისინი ფინანსების მნიშვნელოვან ან ძირითად ნაწილს უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან იღებენ. აქედან გამომდინარე კანონპროექტი მათ აკისრებდა „უცხოური გავლენის აგენტად“ რეგისტრაციის და ფინანსური დეკლარაციების წარდგენის ვალდებულებას, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იმოქმედებდა მძიმე ჯარიმები.[3] ამასთანავე, კანონპროექტის მოთხოვნების შესრულების შემოწმებისა და ე.წ. „აგენტების“ გამოვლენისთვის იუსტიციის სამინისტროს ენიჭებოდა მონიტორინგის უფლებამოსილება და წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე, მათ შორის პირად მონაცემებზე.[4] თუ მონიტორინგით გამოვლინდებოდა კანონის მოთხოვნათა დარღვევა, მაშინ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უფლება

[1] კანონპროექტისთვის იხ.: https://parliament.ge/legislation/25787 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს პარლამენტარების წერილი/მიმართვა საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს კანონპროექტის წარდგენის შესახებ, იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/38009 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[2] კანონპროექტში „უცხოურ ძალად“ მიჩნეული იყო: „ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი; ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე; გ) იურიდიული პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე; დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის გაერთიანება, რომელიც დაფუძნებულია უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე“, იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/322468 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[3] იქვე.

[4] იქვე.

ჰქონდა დაეჯარიმებინა ორგანიზაცია და თვითონ დაერეგისტრირებინა უცხოური გავლენის აგენტთა რეესტრში.[5]

ზემოაღნიშნული კანონპროექტი ჰგავდა რუსეთში მიღებულ კანონს და იმეორებდა მის სულისკვეთებას. რუსეთში მიღებული მსგავსი კანონის გამოყენებით ადგილობრივი კრიტიკული არასამთავრობო/სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობა ან შეჩერდა ან არსებითად შეიზღუდა და დაექვემდებარა რეპრესიებს.[6] რუსეთის კანონი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევად მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.[7] შესაბამისად, რუსული მოწესრიგების ანალოგიურად, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული და პირველი მოსმენით მხარდაჭერილი კანონპროექტი ქმნიდა უდიდეს საფრთხეს ქვეყნის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის. კანონპროექტმა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე დაიმსახურა უმწვავესი კრიტიკა, მათ შორის 400-მდე სამოქალაქო ორგანიზაციისგან, სახალხო დამცველისგან, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებისგან, საელჩოებისგან, გაეროსგან და ა.შ.[8] კრიტიკის მიუხედავად, უმრავლესობამ კანონპროექტი მიიღო პირველი მოსმენით, რასაც მოჰყვა საზოგადოების მასშტაბური პროტესტი პარლამენტთან 2023 წლის 7-9 მარტს.[9] პროტესტის შედეგად, მმართველ პარტიას მოუწია უარი ეთქვა კანონის მიღებაზე და იგი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისას მმართველმა პარტიამ ჩააგდო.[10]

---

[5] იქვე.

[6] Russia: New Restrictions for 'Foreign Agents', იხ.: https://tinyurl.com/4sp374js [ბოლო ნახვა 28.11.2023]; RUSSIA 'FOREIGN AGENTS' CASE, იხ.: https://tinyurl.com/vrnh8f2c [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეში CASE OF ECODEFENCE AND OTHERS v. RUSSIA.

[8] ადამიანის უფლებათა კომისარი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, უარი თქვას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტზე, იხ.: https://tinyurl.com/8ukhhubc [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მიღებასთან დაკავშირებით, იხ: https://tinyurl.com/mrxsfbns [ბოლო ნახვა 27.11.2023]; რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი, იხ.: https://tinyurl.com/3canp8rj [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის თაობაზე, იხ.: https://tinyurl.com/5n8m7esk [ბოლო ნახვა 27.11.2023]; შავი დღე საქართველოს დემოკრატიისთვის – უცხოელი პარტნიორების შეფასებები [განახლებადი], იხ.: https://tinyurl.com/5n79rme8 [ბოლო ნახვა 27.11.2023]

[9] ფოტოამბავი: „უცხოეთის აგენტებზე" კანონპროექტების საწინააღმდეგო აქციის მე-2 დღე თბილისში, იხ.: https://civil.ge/ka/archives/530530 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[10] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 10 მარტის დადგენილება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე, იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/322649 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

1.2. მტრული გარემო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და წარმომადგენლებისთვის

ე.წ. „რუსული კანონის“ არმიღების მიუხედავად, ქვეყანაში სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ გაძლიერდა მტრული გარემო, რაც გამოიხატება მადისკრედიტირებელ კამპანიებში, სამართალწარმოების ბოროტად გამოყენებასა და ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებში.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილი მტრული გარემოს თვალსაზრისით, საყურადღებოა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებები[11] და დაწყებული გამოძიება სახელოვნებო სფეროსთვის გამართულ ტრენინგთან დაკავშირებით. ტრენინგი ჩატარდა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტი, ხოლო ტრენერები იყვნენ ორგანიზაცია „კანვასის“ სერბი წარმომადგენლები. აღწერის მიხედვით, ტრენინგი იყო სასწავლო კურსი, რომელიც „კულტურისა და ხელოვნების სფეროს მოძრაობებისა და საინიციატივო ჯგუფების წევრებს არაძალადობრივი აქტივიზმის, ცვლილებებისთვის თვითორგანიზებისა და მხარდამჭერების მობილიზების მრავალფეროვან მიდგომებს გააცნობს. კურსი ერთმანეთთან დააკავშირებს თანამოაზრეებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მონაწილეებს ექნებათ საშუალება, კურსის მსვლელობისას შეიმუშაონ ერთობლივი ან/და ინდივიდუალური გეგმები მომავალი საქმიანობისთვის“.[12] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, ხელოვნების წარმომადგენლებთან გამართული ტრენინგი, თითქოს, მიზნად ისახავდა საქართველოში არეულობის მოწყობას და, სამსახურის შეფასებით, ე.წ. „ხელისუფლების ძალადობით შეცვლის სცენარის“ ნაწილი იყო.[13] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით გამოძიება ტერორისტული აქტის მომზადების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების ან ამბოხების მუხლებით

---

[11] სუს: ორგანიზაცია CANVAS-ის წევრები თბილისში ხელისუფლების დამხობის მასტერკლასებს ატარებდნენ, იხ.: https://tabula.ge/ge/news/707629-sus-organizatsia-canvas-cevrebi-tbilisshi [ბოლო ნახვა 08.12.2023]; სუს: ოქტომბერ-დეკემბერში გარკვეული ჯგუფები ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას გეგმავენ, იხ.: https://tabula.ge/ge/news/706829-sus-oktomber-dekembershi-garkveuli-jgupebi [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[12] სუსი USAID-ს „რევოლუციური სცენარის" შესახებ ტრენინგის დაფინანსებაში ადანაშაულებს, იხ.: https://tinyurl.com/2m9jj8yt [ბოლო ნახვა 27.11.2023];

[13] იქვე; სუს: ორგანიზაცია CANVAS-ის წევრები თბილისში ხელისუფლების დამხობის მასტერკლასებს ატარებდნენ, იხ.: https://tabula.ge/ge/news/707629-sus-organizatsia-canvas-cevrebi-tbilisshi [ბოლო ნახვა 08.12.2023]; სუს: ოქტომბერ-დეკემბერში გარკვეული ჯგუფები ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას გეგმავენ, იხ.: https://tabula.ge/ge/news/706829-sus-oktomber-dekembershi-garkveuli-jgupebi [ბოლო ნახვა 08.12.2023].

(სისხლის სამართლის კოდექსის 18-323 და 315-ე მუხლები) მიმდიინარეობს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოიკითხნენ სერბი ტრენერები.[14] გარდა ამისა, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უკვე დაკითხა ტრენინგთან დაკავშირებული ადამიანები, მათ შორის ხელოვანები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილის ინტერესებსაც (ამ ეტაპზე 17 ადამიანს) GDI იცავს.[15] GDI-ის შეფასებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებები, გამოძიება და გამოკითხვის პროცესები წარმოადგენს უპრეცენდენტო თავდასხმას საერთაშორისო ორგანიზაციებზე საქართველოში, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ნდობის შემცირებას და სამოქალაქო საზოგადოებაზე დამაშინებელი ე.წ. „მსუსხავი ეფექტის“ მოხდენას.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პრო-სახელისუფლებო მედიისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების სამიზნე გახდნენ GDI და მისი დონორი ორგანიზაციებიც. კერძოდ, პრო-სამთავრობო ტელევიზიამ, ტვ იმედმა მოამზადა რეპორტაჟი, რომელშიც GDI-ს უწოდა „არეულობის სპონსორი“ და საუბრობდა მის როლზე ე.წ. „რევოლუციურ სცენარში“ ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლების მხარდაჭერის გამო.[16] GDI-ს შეფასებით, მსგავსი თავდასხმა მიზნად ისახავს ორგანიზაციის შეფერხებას, გააგრძელოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა და ადამიანების დახმარება. [17]

ხელისუფლების მხრიდან დისკრედიტაციისა და თავდასხმის კიდევ ერთი მაგალითია ინტესიური კამპანია სამოქალაქო ორგანიზაცია „ფრანკლინის კლუბის“ წინააღმდეგ. ორგანიზაცია მუშაობს ძირითადად ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების მიმართულებით. „ფრანკლინის კლუბი“, რამდენჯერმე გახდა ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებების სამიზნე.[18] მაგალითად, მარტის აქციებში „ფრანკლინის კლუბის“ ცალკეული

---

[14] "ხორციელდება ზეწოლა" - “კანვას საქართველო” სუს-ის განცხადებას პასუხობს, იხ.: https://tinyurl.com/mrymuwkz [ბოლო ნახვა 08.12.202].

[15] ტრენინგების საქმეზე ვახო ქარელის გამოკითხვა დასრულდა, იხ.: https://tinyurl.com/ehrzkz4p [ბოლო ნახვა 27.11.2023]; “როგორ არ გეზარებათ ეს ამაო ჩალიჩი” – ტრენინგების გამო გამოკითხვაზე კიდევ ერთ ხელოვანი დაიბარეს, იხ.: https://netgazeti.ge/news/693323/ [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[16] https://www.imedi.ge/ge/video/140318/areulobis-sponsorebi [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[17] შალვა პაპუაშვილი - გამოჩნდა EED - ევროპის დემოკრატიული ფონდი, რომელიც საქართველოში ფარულად მოღვაწეობს, იხ.: https://tinyurl.com/4txe5xxs [ბოლო ნახვა 08.12.2023]; "ბევრი რამ ჰქონიათ დასამალი" - როგორ მოქმედებს ე.წ. აგენტების კანონი მიღების გარეშეც, იხ.: https://tinyurl.com/5y67cjex [ბოლო ნახვა 08.12.2023]; იმედის კვირა - 22 ოქტომბერი, 2023 წელი, იხ.: https://www.youtube.com/watch?v=aBqidrp5qBc [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[18] ვინ არიან ფრანკლინელები და რას ერჩის მათ ხელისუფლება, იხ.: https://jam-news.net/ge/franklinis-klubi/ [ბოლო ნახვა 27.11.2023]; თეა წულუკიანი - ე.წ. ფრანკლინის კლუბი რეალურად არის „ნაციონალური მოძრაობის“, მასთან აფილირებული ექსტრემისტი პოლიტიკოსებისა და

წევრების მონაწილეობის შემდეგ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ფრანკლინის კლუბში“ სატანისტები არიან და ახალგაზრდებს ტვინს ურეცხავენ.[19]

სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოების წევრები ასევე დგანან ფიზიკური ხელშეუხებლობის საფრთხის წინაშეც. ამ მხრივ, აღსანიშნავია პრაიდ ფესტივალის ჩაშლა 2023 წლის 8 ივლისს, როდესაც ფესტივალის ორგანიზატორ „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლების უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნეს ძალადობრივმა კონტრ-დემონსტრანტებმა და ფესტივალის ორგანიზატორების ევაკუაცია გახდა საჭირო.[20] გარდა ამისა, საყურადღებოა სამოქალაქო აქტივისტ სამირა ბაირამოვას შემთხვევა, როდესაც მისი ბინის კარზე ჯვარი და რუსეთის დროშა დახატეს.[21] საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე (მუქარის) მუხლით.[22] სამირა ბაირამოვა წარსულშიც არაერთხელ გამხდარა პრორუსული ჯგუფების მუქარის სამიზნე და სწორედ უსაფრთხოების გამო გადავიდა მარნეულიდან თბილისში საცხოვრებლად.[23]

აღსანიშნავია, რომ უფლებადამცველთა არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა მწვავედ გააკრიტიკა გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობაზე, მერი ლოლერმა. „როდესაც საქართველოში ჩემი ვიზიტი დავიწყე, გამიჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ მოჩვენებითი ღიაობით საქართველოს ხელისუფლება ცდილობს შენიღბოს ადამიანის უფლებათა დამცველებისა და მათი უმნიშვნელოვანესი საქმიანობის ძირგამომთხრელი სისტემური ძალისხმევა“[24] - აღნიშნა მან.

ექსტრემისტული მიზნებისთვის შექმნილი გარკვეული სამჭედლო, იხ.: https://tinyurl.com/ms28dt56 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; მოკლედ გიყვებით, რა თქვა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ ანტირუსულ აქციებზე ძირითადი მესიჯები, იხ.: https://rb.gy/cxej2y [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ღარიბაშვილი: ფრანკლინის კლუბი რეალურად ლევან რამიშვილის კლუბი იყო, კმარას კლუბი, იხ.: https://tinyurl.com/mvz4z634 [ბოლო ნახვა 27.11.2023];

[19] ვინ არიან ფრანკლინელები და რას ერჩის მათ ხელისუფლება, იხ.: https://jam-news.net/ge/franklinis-klubi/ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[20] იხ. ქვემოთ 4.3. ქვეთავი.

[21] სამირას დევნა - „ძალიან კარგად იციან, რომ მათი ქცევა არ მაშინებს“, იხ.: https://tinyurl.com/5n74ubxd [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] მერი ლოლერი, გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობაზე, წინასწარი მიგნებები და რეკომენდაციები, ნოემბერი 2023 https://georgia.un.org/sites/default/files/2023-11/Statement_Geo.pdf [ბოლო ნახვა 27.11.2023].

2. გამოხატვისა და მედიის თავისუფლება

2.1. ონლაინ გამოხატვის შეზღუდვა წვრილმანი ხულიგნობის საფუძვლით

უკვე მრავალი წელია საქართველოში პრობლემას წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენება. თუმცა, საანგარიშო პერიოდში გამოვლიდა ახალი ტენდენცია - გამოხატვის თავისუფლების ონლაინ სივრცეში რეგულირების პრაქტიკა.

კერძოდ, 2023 წლის 23 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯაროდ გამოაქვეყნა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც ხულიგნობისა და პოლიციელთა შეურაცხყოფის გამო პირი ცნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად "Tik-Tok"-ში კრიტიკის ლანძღვა-გინების გამო.[25] სამართალდამრღვევად ცნობილი პირი "Tik-Tok" ვიდეოში ლანძღვა-გინებით აკრიტიკებდა თბილისში საგზაო პოლიტიკას და შესაბამისი ორგანოების მხრიდან გამოვლენილ უმოქმედობას. გარდა ამის, 2023 წლის 27 ივნისს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბექა გრიგორიადისი Facebook-ზე ლანძღვა-გინების გამო სასამართლომ წვრილმანი ხულიგნობის მუხლით 800 ლარით დააჯარიმა.[26]

GDI-ს პოზიციით, ონლაინ სივრცეში გაკეთებული განცხადებების გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საშიში ტენდენციაა და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

2.2. გამოხატვისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა ახალი ბრძანებების საფუძველზე

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის ახალი წესი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს ინტერვიუ.

---

[25] პირი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლე ნინო ენუქიძემ სამართალდამრღვევად სცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი და 173-ე მუხლების პირველი ნაწილის დარღვევისთვის და დაეკისრა 2000 ლარი ჯარიმა, იხ. დადგენილება: https://tinyurl.com/2e4b7fuz [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[26] ბექა გრიგორიადისი ფეისბუკზე გინების გამო 800 ლარით დააჯარიმეს, იხ.: https://netgazeti.ge/law/673819/ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

აღნიშნული მოთხოვნის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბრძანება ითვალისწინებს ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერების შესაძლებლობას.

მაგალითად, 2023 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აკრედიტაცია შეუჩერა კრიტიკული მედიის სამ ჟურნალისტსა და 3 ოპერატორს მას შემდეგ, რაც მედიის წარმომადგენლებმა დეპუტატებს კითხვები დაუსვეს აშშ-ს მიერ მოსამართლეების დასანქცირებასა და ქალთა სექსუალურ შევიწროებაში მხილებულ, პროსამთავრობო ტელეკომპანია პოსტვ-ს ჟურნალისტ, შალვა რამიშვილთან დაკავშირებით.[27] პარლამენტმა ზემოაღნიშნული წესის საფუძველზე 2023 წლის 11 მაისს აკრედიტაცია ასევე შეუჩერა ფორმულას გადამღებ ჯგუფს - ჟურნალისტ გიორგი კიკაბიძესა და ოპერატორ თედო ქვაჩახიას მმართველი პარტიის წევრი ირაკლი ზარქუასთვის რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ კითხვების დასმის გამო.[28]

ზემოაღნიშნული ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით GDI-მ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[29] GDI-ს შეფასებით, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება ეწინააღმდეგება ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებას. კერძოდ, ბრძანება პარლამენტს ანიჭებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იმ ჟურნალისტების აკრედიტაციის შეზღუდვის გზით, რომელთა დასმული კითხვებიც შესაძლოა დისკომფორტს უქმნიდეს მმართველ პარტიას. ჟურნალისტებმა აკრედიტაციის შეჩერების შიშით შესაძლოა თავი აარიდონ მმართველი პარტიისთვის კრიტიკული კითხვების დასმას, რაც ხელს შეუშლის საზოგადოების ინფორმირებას ქვეყანაში აქტუალურ საკითხებზე.

აკრედიტაციის ზემოხსენებული წესის გარდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ 2023 წლის 4 სექტემბერს გამოსცა ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის შესახებ", რომელიც ძალაში 2023 წლის 18 სექტემბერს შევიდა. ბრძანების თანახმად, ვიზიტორს ეკრძალება საქართველოს პარლამენტის სასახლეში ტრანსპარანტის გამოფენა და საინფორმაციო მასალის დარიგება, აგრეთვე სადემონსტრაციოდ განკუთვნილი მასალის (პლაკატის, ბანერის, წარწერისა და სხვა) გაკვრა ან სხვაგვარად

[27] 3 კრიტიკული მედიის ჟურნალისტებს პარლამენტმა აკრედიტაცია შეუჩერა, იხ.: https://rb.gy/a1m7pt [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[28] პარლამენტმა ფორმულას ჟურნალისტებს აკრედიტაცია შეუჩერა, მედიაკოალიცია აღდგენისკენ მოუწოდებს, იხ.: https://tinyurl.com/2vk54dh3 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[29] GDI საქართველოს პარლამენტში ამოქმედებულ უსაფრთხოების დაცვის არაკონსტიტუციურ წესს საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, იხ.: https://tinyurl.com/4v9ayf2d [ბოლო ნახვა 27.11.2023].

განთავსება.[30] გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის სასახლეში სადემონსტრაციოდ განკუთვნილი ნივთების (ბანერის, პოსტერისა და სხვა), აგრეთვე ხმის გამაძლიერებელი და ხმოვანი სიგნალის მოწყობილობების საქართველოს პარლამენტის აპარატის ნებართვის გარეშე შეტანა დაუშვებელია.[31] ამგვარი აკრძლავების საფუძვლად საქართველოს პარლამენტში უსაფრთხოების წესების დაცვა სახელდება, მაგრამ, GDI-ის შეფასებით, მიღებული წესები ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და აბრკოლებს მოქალაქეთა ჩართულობას საპარლამენტო საქმიანობაში. სწორედ ამიტომ, GDI-მ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნითაც მიმართა.

2.3. ცილისწამების საფუძვლით დაწყებული ე.წ. SLAPP დავები

2023 წელს აქტიურად გაგრძელდა ძალაუფლების/გავლენის მქონე, მათ შორის, პოლიტიკური თანამდებობის და მათთან დაკავშირებული სხვა პირების მიერ ცილისწამების მოტივით დაწყებული დავების განხილვა სასამართლოში. GDI ცილისწამების საფუძვლით შეტანილი დავების კვლევით 2021 წელს დაინტერესდა, როდესაც დაფიქსირდა მსგავსი დავების გაზრდილი მაჩვენებელი. აღნიშნული ტენდენცია მზარდი იყო 2022-23 წლებშიც, შედეგად კი კრიტიკულად განწყობილი მედიების და უფლებადამცველების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა ჩვენი მონაცემებით 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით 39-ს აღწევს.[32] აღსანიშნავია, რომ მათი ნაწილი უკვე დაკმაყოფილდა საქალაქო სასამართლოში, ხოლო სარჩელების დარჩენილ ნაწილზე პირველ ინსტანციას ჯერ კვლავაც არ მიუღია გადაწყვეტილება. საყურადღებოა ისიც, რომ სააპელაციო და უზენაესმა სასამართლოებმა აქამდე განხილული ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებები ძალაში დატოვეს.

მაგალითად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასამართლოს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა „ბანკმა ქართუმ" მიმართა ტელეკომპანია პირველისა და მისი ჟურნალისტების, ნოდარ მელაძისა და მაკა ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ.[33] „ბანქი ქართუს" მიერ სადავოდ გამხდარ ერთ-ერთ სიუჟეტში[34] გაჟღერებულია იმ ადამიანების ისტორიები, ვინც „ბანკი ქართუდან" სესხი აიღო, ხოლო სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მსესხებლების ნაწილმა ქონება დაკარგა ან გაკოტრების პირას მივიდა. რაც

[30] იქვე.
[31] იქვე.
[32] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, SLAPP საქმეები საქართველოში, ახალი საფრთხე მედიის თავისუფლებისთვის, გვ. 15, იხ: https://shorturl.at/pBHZ4 [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[33] "ბანკი ქართუს" უსაფუძვლო (SLAPP) სარჩელი ტელეკომპანია პირველისა და მის ჟურნალისტების წინააღმდეგ, იხ.: https://shorturl.at/elpN8 [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[34] ნოდარ მელაძის შაბათი 3 დეკემბერი 2022, იხ.: https://shorturl.at/gsuT2 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

შეეხება სადავოდ გამხდარ მეორე სიუჟეტს[35], მასში საუბარია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე „ბანკი ქართუს“ დაჯარიმების შესახებ და იმ გარემოებებზე, რაც საფუძვლად დაედო ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას.

საყურადღებოა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ოლიგარქთან დაკავშირებული პირები ან ინსტიტუტები მიმართავენ სასამართლოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად. კრიტიკული მედიის წინააღმდეგ დეფამაციურმა სარჩელებმა ბოლო წლების განმავლობაში სისტემური ხასიათი მიიღო, რასაც ხშირ შემთხვევაში საფუძვლად ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა გავლენიანი პირების წინააღმდეგ გაკეთებული კრიტიკული განცხადებები უდევს. საყურადღებოა, რომ ასეთი სარჩელის სამიზნეები ძირითადად კრიტიკული მედიის წარმომადგენლები ხდებიან („მთავარი არხი“, „ტვ პირველი“, „ფორმულა“).

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ საქართველოში გახშირდა სასარჩელო მექანიზმის ბოროტად გამოყენების და სასამართლოსთვის ე.წ. SLAPP (სტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ) სარჩელებით მიმართვის შემთხვევები. SLAPP-ებად განიხილება პოლიტიკური ან ფინანსური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ აღძრული სამართალწარმოებები (ხშირ შემთხვევაში ცილისწამების საფუძვლით ინიცირებული სარჩელები), რომელთა მიზანიც არის მედიის ან/და აქტიური მოქალაქეების გაჩუმება და მათთვის ფინანსური ბარიერების შექმნა. მსგავსი სარჩელები უნდა შეფასდეს როგორც კრიტიკული მედიის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც შედეგად იწვევს სამართალწარმოების გზით მედიისთვის ცენზურის დაწესებას.

ასევე, საგანგაშოა საერთო სასამართლოების მიდგომაც SLAPP სარჩელების მიმართ. მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფენ იმ საფრთხეებს, რომლებიც თან ახლავს მსგავს დავებს სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებრივი კონტროლისთვის. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრისა, და ამავდროულად, ირაკლი კობახიძის სიძის, დავით ფაცაციას სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სასარჩელო მოთხოვნის გაზრდით მას სურდა მედია და ჟურნალისტები გაკეთებული განცხადებებისთვის დაესაჯა.[36] შედეგად, 2023 წლის

[35] სკანდალი ქართუ ბანკში (ტვ პირველის ვიდეო Youtube-ზე), იხ.: https://shorturl.at/kDJU2 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[36] სასამართლომ ირაკლი კობახიძის სიძის სარჩელის საფუძველზე “ტვ პირველს”

10 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე არჩილ კოჭლამაზაშვილმა ნაწილობრივ დააკმაყოფილა დავით ფაცაციას სარჩელი ტელეკომპანია „პირველის“ წინააღმდეგ და მოპასუხეს გავრცელებული ცნობების უარყოფასთან ერთად, 15 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა.[37] პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება 2023 წლის 11 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა, გია ბერაიამ, მერაბ ლომიძემ და გელა ქირიამ (თავმჯდომარე) ძალაში დატოვეს.[38]

ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უსაფუძვლო სარჩელების შეტანისა და სასამართლოს მხრიდან მათ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების ტენდენცია ქმნის განსაკუთრებით საშიშ პრეცედენტებს, რაც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას აქცევს მართლმსაჯულების ობიექტად და არსებითად უშლის ხელს მედიის წარმომადგენლების საქმიანობას და ქმნის „მსუსხავ ეფექტს“ გამოხატვის თავისუფლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ 2023 წლის 8 ნოემბერს გაცემულ რეკომენდაციაში, საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით არსებულ ერთ-ერთ გამოწვევად დეფამაციის საქმეებზე სარჩელები და განაჩენები მიუთითა, რომელთაც გავლენა აქვთ კრიტიკული მედიის საქმიანობაზე.[39]

GDI აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლების დაცვას SLAPP საქმეებზე.

2.4. ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას გათავისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯად შეფასდა მედიისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად.[40] თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 16 მაისს ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით მიუსაჯა

არაპროპორციული ოდენობის კომპენსაცია დააკისრა, იხ.: https://shorturl.at/aiKMP [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[37] იქვე.

[38] თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცილისწამებასთან დაკავშირებით დავით ფაცაციას სარჩელზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, იხ.: https://shorturl.at/jsuN7 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[39] European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 35, იხ.: https://tinyurl.com/3rdpyfpm [ბოლო ნახვა 29.11.2023].

[40] კოალიცია პრეზიდენტის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალებას ეხმაურება, იხ: https://shorturl.at/dsH01 [ბოლო ნახვა 27.11.2023]

პატიმრობა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ხელმძღვანელობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე.[41] 2022 წლის 2 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა[42], ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 19 ივნისს ნიკა გავრამიას სარჩელი დაუშვებლად ცნო.[43] 2023 წლის 22 ივნისს კი, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია შეიწყალა.[44]

2023 წელს აქტიურად გაგრძელდა ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმები. GDI-ის შეფასებით, ჟურნალისტების მიმართ აგრესიას ახალისებს სახელმწიფო წარმომადგენლების მიერ მედიის წინააღმდეგ გაკეთებული დისკრედიტაციული განცხადებები. ამ კუთხით, საყურადღებოა „მთის ამბების“ რედაქტორის, გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ წამოწყებული დისკრედიტაციული კამპანია[45] და მმართველი პარტიის ერთ-ერთ ლიდერის, ირაკლი კობახიძის მიერ 2023 წლის 05 აგვისტოს გაკეთებული კომენტარი: „ზუსტად ამ ფოტოს გადაღებამდე ორი წუთით ადრე ამ კაცს ელაპარაკებოდა შალვა პაპუაშვილი 15 წუთის განმავლობაში. (გელა მთივლიშვილმა) დაინახა, მაინც გააკეთა, ეს ნიშნავს, რომ, უბრალოდ, კაცი არ არის“.[46] GDI-ის შეფასებით, მსგავსი განცხადებები მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებისგან უწყობს ხელს საზოგადოებაში ჟურნალისტების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებასა და აგრესიას.

საგანგაშოა, რომ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ისეთი შემთხვევაც, როდესაც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, სავარაუდოდ თავად იყვნენ ჩართული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებში. ამ კუთხით, საგულისხმოა „ფორმულას“ ერთ-ერთ დამფუძნებელზე, მიხეილ მშვილდაძეზე 2023 წლის 27 ივნისს განხორციელებული თავდასხმა.[47] გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ მშვილდაძეს უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. მშვილდაძის თქმით მას სახეში მუშტი დაარტყეს, შემდეგ წაიქცა და სანამ წამოდგებოდა, თავდამსხმელი ფიზიკურ ანგარიშსწორებას

---

[41] სასამართლომ ნიკა გვარამია დამნაშავედ ცნო და 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, იხ. https://shorturl.at/cfqDP [ბოლო ნახვა 27.11.2023]

[42] ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ, იხ: https://shorturl.at/eimy9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]

[43] ნიკა გვარამიას სარჩელი უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო, იხ: https://shorturl.at/jDKM7 [ბოლო ნახვა 27.11.2023]

[44] პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა, https://shorturl.at/aqtOZ [ბოლო ნახვა 27.11.2023]

[45] ფეისბუქ გვერდის „სინამდვილეში“ 2023 წლის 5 აგვისტოს გამოქვეყნებული პოსტი, იხ. https://shorturl.at/iqxM9 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[46] ირაკლი კობახიძე გელა მთივლიშვილსა და „მთის ამბების“ ფოტოზე - ფოტოს გადაღებამდე ორი წუთით ადრე ამ კაცს ელაპარაკებოდა შალვა პაპუაშვილი, დაინახა, მაინც გააკეთა, ეს ნიშნავს, რომ, უბრალოდ, კაცი არ არის, იხ.: https://shorturl.at/aptyH [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[47] მიშა მშვილდაძეს თავს დაესხნენ, იხ.: https://shorturl.at/cimS7 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

აგრძელებდა.[48] მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) დაიწყო.

საყურადღებოა, რომ ტელეკომპანია „ფორმულას" მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, მიხეილ მშვილდაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის დაგეგმვასა და განხორციელებაში დიდი ალბათობით ჩართული იყვნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მისი თანამშრომლები.[49] მიუხედავად ამისა, 2023 წლის 12 სექტემბერს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიების დახურვის შესახებ გაავრცელა განცხადება, ხოლო სასამართლოში საქმე მხოლოდ ერთი ბრალდებულის მიმართ გააგზავნა, სახელმწიფო უსაფრთხოების წარმომადგენელთა დანაშაულში სავარაუდო ჩართულობის შესახებ კი საქმე სასამართლოში არ გაგზავნილა.[50] შედეგად, 2023 წლის 04 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიხეილ მშვილდაძეზე თავდასხმაში ბრალდებულს, ნიკოლოზ გუგეშაშვილს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[51] მიხეილ მშვილდაძის ინტერესებს GDI იცავს. GDI-მ გამოძიების არაეფექტურად წარმართვაზე, დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემურობაზე, დამატებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებებსა და სუს-ის თანამშრომლების მიერ გამოძიებისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე და ბოლოს სუს-ის თანამშრომლების შესაძლო დანაშაულების გამოვლენის მიზნით გამოძიების ცალკე წარმოებად გამოყოფაზე საგამოძიებო ორგანოებსა და სასამართლოს არაერთხელ მიმართა, თუმცა ყველა საკვანძო საკითხზე შესაბამისმა ორგანოებმა უარი თქვეს ჩვენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. [52]

ასევე საყურადღებოა 2023 წლის 20 სექტემბერს მომხდარი შემთხვევა, როცა აშშ-ის მიერ სანქცირებული ყოფილი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის დაცვა თავს დაესხა ტელეკომპანია „პირველისა" და „ფორმულას" გადამღებ ჯგუფს და წაართვა მათ აპარატურა.[53] „შაბათის ფორმულას" ჟურნალისტის თქმით, დაცვის გაღიზიანება ფარცხალაძის ადგილსამყოფელის შესახებ დასმულმა კითხვამ გამოიწვია.[54] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება საქართველოს

---

[48] იქვე.

[49] მშვილდაძეზე ორგანიზებული თავდასხმის ფიგურანტი სუს-ის გამომძიებელი გიორგი მუმლაძეა, იხ.: https://shorturl.at/dhFIN [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[50] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 12 სექტემბრის ფეისბუქ პოსტი, იხ.: https://shorturl.at/hzDJZ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[51] სასამართლომ მიშა მშვილდაძეზე თავდასხმაში ბრალდებულს 6-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა, იხ.: https://shorturl.at/oKVX3 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[52] მიხეილ მშვილდაძის მიმართ ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეზე გამოძიების არაეფექტიანად წარმართვის რისკი არსებობს, იხ.: https://shorturl.at/rzBOY [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[53] ფარცხალაძის დაცვამ შაბათის ფორმულას ჟურნალისტსა და ოპერატორს სცემა, იხ.: https://shorturl.at/jluE8 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[54] იქვე

სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) დაიწყო.[55]

ასევე, აღსანიშნავია 2023 წლის 26 აგვისტოს „მთავარი არხის“ ჟურნალისტ ემა გოგოხიასა და მის ოპერატორზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაიშში ჟურნალისტსა და ოპერატორს თავს დაესხნენ, წაართვეს მათ კამერა, მიკროფონი, გადამცემი, პირადი ტელეფონი და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.[56] ემა გოგოხიას თქმით, ოპერატორსა და ჟურნალისტს თავს 12 ადამიანი დაესხა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების დროს.[57] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დანაშაულში მხილებულ ორ პირს ბრალდება პროკურატურის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის წარუდგინა.[58]

ამასთან, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტზე, ნატო გოგელიაზე თავდასხმის ფაქტი. 2023 წლის 15 მარტს, სოფელ ბახვში ჟურნალისტს თავს დაესხა, მობილური ტელეფონი დაუმტვრია და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პრორუსული ძალადობრივი „ალტ-ინფოს“ აქციის მონაწილემ.[59] საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ჟურნალისტისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ მუქარის ფაქტებს ჰქონდა ადგილი.[60] 2023 წლის 17 მარტს ნატო გოგელიაზე ძალადობის ბრალდებით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობისა და სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი დააკავა.[61] 2023 წლის 21 მარტს დაკავებული მამუკა ანდღულაძე

---

[55] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა „ტვ პირველისა“ და „ფორმულას“ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, იხ.: https://shorturl.at/dwJOS [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[56] მესტიაში "მთავარი არხის" ჟურნალისტს, ემა გოგოხიასა და ოპერატორს თავს დაესხნენ, იხ.: https://shorturl.at/orwy0 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[57] იქვე.

[58] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 24 ოქტომბრის ფეიქსბუქ პოსტი, იხ.: https://shorturl.at/tCQ02 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[59] „TV პირველის“ ცნობით, პირი, რომელმაც ევროპული დროშა ჩამოხია, თავს დაესხა ჟურნალისტს, იხ: https://shorturl.at/iKO12 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[60] მედიაომბუდსმენი: TV პირველის ჟურნალისტზე და მისი ოჯახის წევრებზე მუქარა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, იხ: https://shorturl.at/tRWX1 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[61] საგამოძიებომ TV პირველის ჟურნალისტზე ძალადობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა, იხ: https://shorturl.at/xALW5 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 3000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.[62]

საგანგაშოა ტელეკომპანია „ფორმულას“ ტელეწამყვან ირაკლი ტაბლიაშვილის მიმართ მუქარის ფაქტებიც. 2023 წლის 25 ივლისს მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჟურნალისტსა და „ფორმულას“ გადაცემა „კონტექსტის“ წამყვანს, ირაკლი ტაბლიაშვილს სხვადასხვა ნომრიდან უკავშირდებიან რუსულენოვანი პირები და ემუქრებიან.[63] წამყვანის თქმით, რუსულენოვანი პირი მას დაემუქრა, მოსთხოვა მისამართი და ამბობდა, რომ მის დასასჯელად გაუშვებდა ოპერატიულ ბრიგადირს.[64] ამის შემდეგ, ირაკლი ტაბლიაშვილი პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე დაიბარეს.[65]

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთების ქურდობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია 2023 წლის 13 ივლისს გაავრცელა “ტელეკომპანია პირველის" წამყვანმა, ნოდარ მელაძემ. წამყვანის თქმით, მისი კუთვნილი მანქანიდან წაიღეს სამსახურეობრივი მყარი დისკი, ხოლო ხელუხლებელი დატოვეს მისი პირადი მოხმარების და სხვა ნივთები (როგორიცაა საათები და სათვალე).[66] შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით და ერთი პირი დააკავა.[67]

ზემოაღნიშნული შემთხვევები ცხადყოფს, რომ მედიის წარმომადგენლებს არ ეძლევათ თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა, ჟურნალისტების მიმართ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებასა და თავდასხმების მცდელობებს კი ხელს უწყობს სახელმწიფოს მოქმედება თუ უმოქმედობა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ სახელმწიფო, სავარაუდოდ, თავად არის ჩართული დანაშაულებრივ ქმედებებში ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

---

[62] "TV პირველის" ჟურნალისტზე თავდასხმის საქმეზე დაკავებული სააპელაციომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, იხ: https://shorturl.at/bsGRS [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[63] ტელეწამყვან ირაკლი ტაბლიაშვილს რუსულენოვანი პირები ტელეფონით ემუქრებიან, იხ.: https://shorturl.at/fDHJQ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[64] იქვე.

[65] ფორმულას წამყვანი ირაკლი ტაბლიაშვილი გამოკითხვაზე დაიბარეს, იხ.: https://shorturl.at/amDGW [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[66] ნოდარ მელაძის 2023 წლის 12 ივლისის ფეისბუქ პოსტი, იხ.: https://shorturl.at/hkCIW [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[67] ნოდარ მელაძის მანქანის გაქურდვის საქმეზე შსს-მ 1 ადამიანი დააკავა, იხ.: https://shorturl.at/iFJP6 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

2.5. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის პროცესი 2022 წლის სექტემბერში კანონპროექტის დარეგისტრირებით დაიწყო.[68] კანონპროექტი მოიცავდა არაერთ ცვლილებას, მათ შორის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (კომკომის) გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულებას და კომკომის მიერ სიძულვილის ენისა და პასუხის უფლების რეგულირებას.[69] აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით პრობლემური იყო მედია და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, რადგან, კრიტიკული მედიების წინააღმდეგ კომკომის წარსული გადაწყვეტილებების ფონზე, იქმნებოდა კომკომის მიერ ახალი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების საფრთხე.[70] კანონპროექტზე კრიტიკული მოსაზრებები მოამზადეს ევროსაბჭოს ექსპერტებმაც.[71] ამის შემდეგ, 2023 წლის 30 ივნისს და 19 ოქტომბერს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში კვლავ განხროციელდა ცვლილებები.[72] საბოლოოდ, ევროპის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციები კანონში არასრულად აისახა. ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში განხილულია ზოგიერთი ის საკანონმდებლო ცვლილება, რომლებიც არ შეესაბამება ექსპერტთა რეკომენდაციებს ან/და პრობლემურია მედიის თავისუფლების კუთხით.

2.5.1. სიძულვილის ენის რეგულირება

2023 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილებები,[73] რომლითაც საქართველოს

---

[68] კანონპროექტისა და კანონპროექტთან დაკავშირებული დოკუმენტებისთვის იხ.: https://parliament.ge/legislation/24615 [ბოლო ნახვა 28.11.2023]; საქართველოს პარლამენტის წევრების წერილი/მიმართვა საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს კანონპროექტის წარდგენის შესახებ, იხ.: https://tinyurl.com/49abzs4e [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[69] კანონპროექტისთვის იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/305436 [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[70] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება,,მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, იხ.: http://mediacoalition.ge/ge/a/7bfc46e7 [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[71] Initial Expert Opinion prepared on the basis of the expertise by Council of Europe experts Eve Salomon and Sally Broughton Micova on Three Key Aspects of the amendments package to the Law of Georgia on Broadcasting, ISD/2022/1, Strasbourg, 25 November 2022, იხ.: https://tinyurl.com/5n879wvb [ბოლო ნახვა 28.11.2023]; Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law, Information Society and Action against Crime Directorate, Information Society Department, prepared on the basis of the expertise by Council of Europe experts:
Eve Salomon and Sally Broughton Micova, on the Law of Georgia on Broadcasting, DGI (2023)1, Strasbourg, 21 February 2023, იხ.: https://tinyurl.com/y7eu68jh [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[72] საქართველოს 2023 წლის 30 ივნისის კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, იხ.: https://tinyurl.com/3cffav8e [ბოლო ნახვა 28.11.2023]; საქართველოს 2023 წლის 19 ოქტომბრის კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, იხ.: https://tinyurl.com/239c4e56 [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[73] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭა სიძულვილის ენის გამოყენებაზე, აგრეთვე უხამსობის შემცველ პროგრამებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება.

ცვლილებების მიხედვით, დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაასაჩივრონ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება მაუწყებლის ეთერში სიძულვილის ენის ან ტერორიზმისკენ მოწოდების შემცველი პროგრამის გადაცემას.[74]

ცვლილებების მოტივად დასახელებულია ევროკავშირის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, მათ შორის ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის დადგენილი 12 პრიორიტეტის შესრულება.[75]

„აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ აუდიო-ვიზუალური მედია სერვისი არ შეიცავდეს სიძულვილის ან ძალადობისკენ წაქეზებას. მიუხედავად ამისა, თავად დირექტივა არ აწესებს მარეგულირებელი ორგანოს მიერ სიძულვილის ენის გამოყენების რეგულირების ვალდებულებას. ეს საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს როგორც მარეგულირებელი ორგანოს, ისე თანარეგულირების მექანიზმით.[76]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული კონტექსტის, კომკომზე შესაძლო პოლიტიკური ზეწოლის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებული მაღალი რისკების გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს ექსპერტებმა შეიმუშავეს მკაფიო რეკომენდაცია[77], რომ საქართველოში დანერგილიყო თანარეგულირების მექანიზმი. თუმცა საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. ამასთან, არ გაითვალისწინა არც თავად მედიაკომპანიების და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების მოწოდება, ამ საკითხზე მსჯელობა და ცვლილებების მიღება მათი ჩართულობით მომხდარიყო.[78] თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს

თაობაზე, იხ. https://shorturl.at/akqKU [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[74] იქვე.

[75] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, იხ.: https://shorturl.at/cqMZ5 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[76] GDI-ს განცხადება კომუნიკაციების კომისიისთვის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით, იხ.: https://shorturl.at/aT189 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[77] ევროპის საბჭოს ექსპერტების რეკომენდაცია, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ, გვ. 36-37, იხ.: https://shorturl.at/dmCO6 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[78] GDI-ს განცხადება კომუნიკაციების კომისიისთვის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით, იხ.: https://shorturl.at/aT189 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

პარლამენტმა 2023 წლის ივნისის ცვლილებებით გააუმჯობესა სიძულვილის ენის დეფინიცია და იგი უფრო დეტალური გახადა.

მედიის ადვოკატირების კოალიციამ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მარეგულირებლის ხელში დამატებითი ძალაუფლების კონცენტრაცია ზრდის მისი ბოროტად გამოყენების რისკს. კოალიციის თქმით, წარსული პრაქტიკის გათვალისწინებით, მედიის ადვოკატირების კოალიციისა და მედია ორგანიზაციებს შეშფოთების სრულიად ლეგიტიმური საფუძველი აქვს.[79]

რაც შეეხება ევროკავშირის პოზიციას, მართალია ევროკომისიამ დირექტივის მოთხოვნები ამ ცვლილებით შესრულებულად ჩათვალა, თუმცა აქვე მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, იზრუნოს კომუნიკაციების კომისიის დამოუკიდებლობის გაზრდაზე,[80] რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლილებების მიკერძოებულად აღსრულების რისკებს ევროკავშირის სტრუქტურებიც ხედავენ.

2.5.2. უხამსობის რეგულირება მაუწყებლებში

რაც შეეხება უხამსობის რეგულირებას, კომუნიკაციების კომისიას ადრე არ ჰქონდა საკანონმდებლო უფლებამოსილება, შეეფასებინა მაუწყებლის ეთერში გადაცემული პროგრამა შეიცავდა თუ არა უხამსობას. 2023 წლის 19 ოქტომბერს მიღებული ცვლილებებით, მარეგულირებელ კომისიას ამის უფლებამოსილებაც ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში მოიძებნება მაგალითი, როდესაც კომუნიკაციების კომისიამ, კანონის საწინააღმდეგოდ 2021 წელს უკვე განიხილა მთავარი არხის ეთერში გასული სიუჟეტი ზემოთ აღნიშნულ ნორმებთან მიმართებით.[81] სიუჟეტი[82] პოლიტიკური სატირის შემცველი იყო და აქცენტს აკეთებდა პარლამენტის უფუნქციობაზე. თუმცა კომისიამ ერთი მხრივ იმოქმედა უკანონოდ[83] როდესაც

[79] მედიის ადვოკატირების კოალიცია ეხმიანება მმართველი პარტიის მიერ "მაუწყებლობის შესახებ კანონში" ინიციირებულ მორიგ ცვლილებებს, იხ.: https://shorturl.at/qxGKP [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[80] European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 11, იხ.: https://tinyurl.com/3rdpyfpm [ბოლო ნახვა 29.11.2023].

[81] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის გ-21-18/22 გადაწყვეტილება შპს „მთავარი არხის" სამართალდამრღვევად ცნობის და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე, იხ.: https://shorturl.at/bluvC [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[82] „მთავარი არხის" სტატია „პრეზერვატივში ერთი ეტევა, პარლამენტში ბევრი - ჩაკ პალანიკის დეფინიცია ქართულ რეალობას მოერგო", იხ.: https://shorturl.at/aiA45 [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[83] კომუნიკაციების კომისია პროგრამის შინაარსის განხილვით კანონს არღვევს, იხ.:

საერთოდ განიხილა ეს საკითხი, მეორე მხრივ კი თვალები დახუჭა სადავო კადრებისა და განცხადებების პოლიტიკურ ღირებულებაზე. შედეგად, მთავარი არხი სამართალდამრღვევად ცნო.[84]

ამგვარი გამოცდილების ფონზე, მოსალოდნელია მსგავსი შემთხვევების განმეორება და მაუწყებელთა დაჯარიმება არასასურველი შინაარსის გადაცემის გამო. ყურადსაღებია ისიც, რომ აღნიშნული ცვლილებები ხდება არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ხოლო წარსული გამოცდილებით კომუნიკაციების კომისია აქტიურობას სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში იწყებს ხოლმე.[85]

ამდენად, უხამსობის რეგულირების უფლებამოსილების მინიჭებით, კომუნიკაციების კომისიას აქვს შესაძლებლობა, კიდევ უფრო აქტიურად გააკონტროლოს მაუწყებელთა ეთერში გასული პროგრამების შინაარსი და მათი პოლიტიკური, ლიტერატურული თუ სხვა ღირებულების უგულებელყოფის გზით, დაასანქციროს მაუწყებლები არასასურველი შინაარსის გამო.

2.5.3. პასუხის უფლებაზე უარის გასაჩივრება კომუნიკაციების კომისიაში

2022 წლის 12 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით „მაუწყებლობის შესახებ“ კანონს დაემატა 52[1] მუხლის, რომლის მე-4 პუნქტი ადგენდა საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის შესწორებაზე ან უარყოფაზე მაუწყებლის უარის გასაჩივრების შესაძლებლობას სასამართლოში და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.[86] ამავდროულად, აღნიშნული ნორმა არ ეწერა იმ საგამონაკლისო ნორმებს შორის, რომელთა დარღვევა არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას კომისიაში.[87] ეს მოწესრიგება შეაფასეს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს კომისიის მიერ პასუხის უფლებაზე დავების განხილვას გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ გაზრდილი რისკების გამო.[88] ექსპერტების მოსაზრების გამოქვეყნების შემდეგ, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი კვლავ შეიცვალა და ამჟამინდელ რედაქციაში პასუხის უფლებას 52-ე მუხლი არეგულირებს. 52-ე მუხლი არის იმ ნორმებს შორის, რომელთა დარღვევაც არ

https://shorturl.at/rCLS3 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[84] კომუნიკაციების კომისიის მიერ „მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება, იხ.: https://shorturl.at/dlqDQ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[85] GDI-ს განცხადება კომუნიკაციების კომისიისთვის მანდატის გაზრდასთან დაკავშირებით, იხ.: https://shorturl.at/aT189 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[86] „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის კონსოლიდირებული ვერსია (22/12/2022 - 09/02/2023).

[87] „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის კონსოლიდირებული ვერსიის (22/12/2022 - 09/02/2023) მე-14 მუხლი.

[88] Opinion of the Directorate General Human Rights and Rule of Law, Information Society and Action against Crime Directorate, Information Society Department, prepared on the basis of the expertise by Council of Europe experts: Eve Salomon and Sally Broughton Micova, on the Law of Georgia on Broadcasting, DGI (2023)1, Strasbourg, 21 February 2023, გვ. 25, იხ.: https://tinyurl.com/y7eu68jh [ბოლო ნახვა 28.11.2023].

საჩივრდება კომისიაში და ექვემდებარება მხოლოდ მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმს.[89] მიუხედავად ამისა, თავად 52-ე მუხლის მე-6 პუნქტი მაინც ადგენს, რომ პასუხის უფლებაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ამჟამინდელი რედაქცია შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმებს, რაც არათანმიმდევრული, დამაბნეველია და საჭიროებს გამოსწორებას.

3. შემოქმედების თავისუფლება და კულტურის სფერო

3.1. საკადრო ცვლილებები კულტურის სფეროში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ცვლილების და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, სამინისტროს სხვადასხვა დაწესებულებაში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები.[90] ეროვნულმა სასამართლოებმა უკვე რამდენიმე საქმეში დაადგინეს (ყოფილ) თანამშრომელთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების უკანონობა.[91] დათხოვნილი თანამშრომლები მათ გათავისუფლებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ და პოლიტიკურ მოტივს უკავშირებენ.[92] ასეთი საკადრო ცვლილებები აძლიერებს გამოთქმულ ვარაუდს, რომ კულტურის სფეროში მიმდინარეობს განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების საკადრო წმენდა.[93]

3.2. კინოცენტრსა და მწერალთა სახლში განვითარებული მოვლენები

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით, 2023 წლის 4 სექტემბრიდან მწერალთა სახლის ხელმძღვანელად დაინიშნა ქეთევან დუმბაძე, პარლამენტის უკვე ყოფილი წევრი მმართველი პარტიიდან. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას მოჰყვა მწერლების, მთარგმნელების, გამომცემლებისა და ლიტერატურულ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა ნაწილის ბოიკოტი მწერალთა სახლის მიმართ.[94] მათი განცხადებით, „ბოიკოტი დაიწყება 2023 წლის 4

---

[89] „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები და 59[1] მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

[90] სასამართლო დავა ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულმა კიდევ ერთმა თანამშრომელმა მოიგო, იხ.: https://rb.gy/o2qv4h [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[91] იქვე; სასამართლომ ხელოვნების მუზეუმის ყოფილი დირექტორის ჩამოქვეითება უკანონოდ ცნო, იხ.: https://rb.gy/e9g6i3 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; წულუკიანის საკადრო წმენდისას გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასამართლო დავა მოიგო – SJC, იხ.: https://tinyurl.com/y442wv38 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; შრომითი დავა წულუკიანს კიდევ ერთმა გათავისუფლებულმა თანამშრომელმა მოუგო, იხ.: https://netgazeti.ge/news/627710/ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[92] სასამართლო დავა ეროვნული მუზეუმიდან გათავისუფლებულმა კიდევ ერთმა თანამშრომელმა მოიგო, იხ.: https://rb.gy/o2qv4h [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[93] რატომ მარცხდება სასამართლოში წულუკიანის უწყება და რა უჯდება ეს ბიუჯეტს?, იხ.: https://tinyurl.com/526y7ez3 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[94] მწერლებისა და გამომცემლების ნაწილი მწერალთა სახლს ბოიკოტს უცხადებს, იხ.:

სექტემბრიდან, იმ დღიდან, როდესაც მწერალთა სახლს მმართველი პარტიის მიერ დანიშნული კანდიდატი ჩაიბარებს და გაგრძელდება იქამდე, ვიდრე მის ხელმძღვანელს არ აირჩევს დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია. ხელოვნება ცოცხალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია“.[95] ამასთანავე, მწერალთა სახლის ფეისბუქზეც გამოქვეყნდა განცხადება, რომლის მიხედვით, „პირდაპირი დანიშვნის წესით ახალი დირექტორის მოსვლა ორგანიზაციაში, საფრთხეს უქმნის ამ პროექტების თავისუფალ და უცენზურო მართვას. ჩვენ ვმუშაობთ მწერლებთან და მწერლებისთვის, ამიტომ ვუერთდებით 100-ზე მეტი მწერლის, მთარგმნელისა და გამომცემლის მოთხოვნას და მივიჩნევთ, რომ ორგანიზაციის ახალი დირექტორი უნდა აირჩიოს დარგის პროფესიონალებისგან შემდგარმა კომისიამ“.[96]

მწერალთა სახლის შემთხვევის ანალოგიურად, საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის რეორგანიზაციასა და ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად კობა ხუბუნაიას დანიშვნას მოჰყვა თანამშრომლებისა და კინემატოგრაფების პროტესტი.[97] თანამშრომლების პოზიციით, დირექტორი უნდა არჩეულიყო კონკურსით და არა ერთპიროვნულად, ხოლო რეორგანიზაცია შეწყვეტილიყო.[98] ქართველი კინემატოგრაფისტების ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს კულტურის სამინისტროს პოლიტიკას. მათი განცხადებით, „მხოლოდ დემოკრატიული წესით არჩეული მმართველის პირობებში შეძლებს კინოცენტრი უზრუნველჰყოს ქართველი კინემატოგრაფისტების სიტყვის, გამოხატვისა და შემოქმედების თავისუფლება“.[99]

კულტურის სფეროში განვითარებულ მოვლენებს არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ. მათი განცხადებით, „ბოლო წლების განმავლობაში, კულტურის სამინისტროს მხრიდან გახშირდა გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი თავდასხმები, ,,ქართული ფილმის“ გამოძიებით დაშინება, სხვადასხვა თანამდებობებზე პოლიტიკასთან აფილირებული პირების დანიშვნა, თანამშრომლების მუდმივი გათავისუფლება პოლიტიკური გემოვნების საფუძველზე, სამხატვრო გალერეაში ჟურნალისტების შეშვებაზე უარის თქმა. გარდა ამისა, არც სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმის ცენზურის შემთხვევაა პირველი, 2022 წელს, საქართველოს კინოაკადემიის მიერ

https://tinyurl.com/5ec4mreh [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[95] იქვე.

[96] მწერალთა სახლი დუმბაძის დანიშვნაზე: საფრთხეს უქმნის პროექტების უცენზურო მართვას, იხ.: https://tinyurl.com/nyjns49m [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[97] "ვეწინააღმდეგებით რეპრესიულ პოლიტიკას" – კინემატოგრაფისტები კინოცენტრს ბოიკოტს უცხადებენ, იხ.: https://tinyurl.com/383dvr64 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[98] იქვე.

[99] იქვე.

ფილმის ჩვენება აიკრძალა“.[100] GDI-ის შეფასებითაც, კულტურის სფეროში განვითარებული ზემოაღწერილი მოვლენები საფრთხეს უქმნის სფეროს დამოუკიდებლობას, მათი გამოხატვისა და შემოქმედების თავისუფლებას.

4. შეკრების თავისუფლება

4.1. მარტის საპროტესტო აქციების დარბევა

2023 წლის 7-8 მარტს ე.წ. „რუსული კანონის“ გასაპროტესტებლად მასშტაბური აქციები გაიმართა. სამართალდამცავებმა აქციების დაშლის პროცესში უხეშად დაარღვიეს შეკრების თავისუფლების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარდები. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გადაცდომებს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი და აქციები საერთო ჯამში არაძალადობრივ ხასიათს ატარებდა.[101] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ინდივიდის შეკრების თავისუფლება მაშინაც დაცულია, როდესაც დემონსტრაციისას მისი ქმედებები მშვიდობიანია, ხოლო სხვათა ქმედებები არღვევს კანონს ან ძალადობრივია.[102] ამ სტანდარტის საწინააღმდეგოდ, სამართალდამცავებმა უკანონოდ გამოიყენეს ძალა, სპეციალური საშუალებები, აქციების მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ კონკრეტულ ინციდენტებზე რეაგირების შეზღუდვის მაგივრად.[103] გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში სპეციალური საშუალებები გამოიყენებოდა ერთმანეთის პარალელურად და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, რაც არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.[104] ასევე, დაფიქსირდა ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების უკანონოდ და არაპროპორციულად გამოყენება (ფიზიკური დაზიანება, წიწაკის სპრეის სახეში შესხმა, წყლის ჭავლის და ცრემლსადენი გაზის კაფსულების დამიზნებით სროლა).[105] სამწუხაროდ, 7-8 მარტის აქციების დაშლა არ არის ბოლო წლების განმავლობაში პირველი

---

[100] საგანგაშოა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კულტურის სექტორის დისკრედიტაცია - NGO-ები, იხ.: https://tinyurl.com/2d2uuhx3 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[101] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა, იხ.: https://tinyurl.com/yc2e9n8u [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, გვ. 8, იხ.: https://tinyurl.com/mrywe24e [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[102] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებში: Ezelin v. France, 1991, § 53; Frumkin v. Russia, 2016, § 99; Laguna Guzman v. Spain, 2020, § 35.

[103] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა, იხ.: https://tinyurl.com/yc2e9n8u [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, გვ. 8, იხ.: https://tinyurl.com/mrywe24e [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[104] იქვე.

[105] იქვე.

შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავები დემონსტრაციებს კანონმდებლობის დარღვევით შლიან.[106]

მარტის აქციების კონტექსტში ასევე აღსანიშნავია ლაზარე გრიგორიადისის საქმე. ლაზარე გრიგორიადისი აქციების შემდეგ, 29 მარტს დააკავეს, ხოლო 31 მარტს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.[107] პროკურატურა მას აქციის დროს სამართალდამცავების მიმართ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მანქანისთვის ცეცხლის წაკიდებას ედავება.[108] საყურადღებოა, რომ გრიგორიადისის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს დისკრედიტაციული განცხადებები. კერძოდ, ირაკლი კობახიძემ გრიგორიადისს უწოდა „ორიენტაცია არეული“,[109] რასაც ჰომოფობიური კონოტაცია აქვს. ამასთანავე, პრემირ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილმა მტკიცებით ფორმაში ისაუბრა იმ შესაძლო დანაშაულზე, რომელსაც გრიგორიადისს ედავებიან.[110] კერძოდ, ღარიბაშვილის თქმით, „რამდენიმე დღის წინ პოლიციამ დააკავა პოლიციაზე თავდამსხმელი - გახსოვთ, ყველამ ნახა კადრები, ერთ-ერთმა ანარქისტმა როგორ ესროლა პოლიციას "მოლოტოვის კოქტეილი". ამ ადამიანს განზრახული ჰქონდა პოლიციელის ცოცხლად დაწვა. მე გამოვედი და ვთქვი ჩემი პოზიცია, ამას არავის ვაპატიებთ - ეს არის წითელი ხაზი, რომელზეც ვიქნებით უკომპრომისო“.[111] აღნიშნული უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად შეაფასა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომელმაც ასევე მიუთითა გრიგორიადისის საპროცესო უფლებების დარღვევაზე.[112] გრიგორიადისის საქმესა და ხელისფულების წარმომადგენლების განცხადებებს ასევე გამოეხმაურა GDI. კერძოდ, GDI-ის შეფასებით, ლაზარე გრიგორიადისის სისხლის სამართლებრივი დევნა წარმოადგენს ქართული ოცნების პროპაგანდისტული კამპანიის ნაწილს, პოლიტიკური მიზნების მიღწევის იარაღს და შესაძლოა ჰქონდეს აქციაზე მყოფი ახალგაზრდების მიმართ შურისძიების მიზანი.[113]

---

[106] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2020, გვ 3-4, იხ.: https://tinyurl.com/bdh77hw6 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „რა მოხდა 20-21 ივნისის ღამეს? იხილეთ 10 ყველაზე ხშირად დასმული კითხვა“, იხ.: https://tinyurl.com/42dfrsuj [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[107] ლაზარე გრიგორიადისის საქმე - ხელისუფლების შურისძიება, იხ: https://formulanews.ge/News/88084 [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[108] იქვე.

[109] იქვე.

[110] პრემიერი ლაზარე გრიგორიადისზე: გახსოვთ კადრები, როგორ ისროლა "მოლოტოვის კოქტეილი", იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/32347201.html [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[111] იქვე.

[112] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმიანება ლაზარე გრიგორიადისის საქმეს, იხ.: https://t.ly/gkC78 [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[113] GDI ლაზარე გრიგორიადისის საქმეს ეხმიანება, იხ.: https://gdi.ge/ge/news/gdi-lazare-grigoriadisis-

4.2. ადმინისტრაციული დაკავებებისა და სამართალწარმოების პრაქტიკა

2023 წელს გაგრძელდა აქციის მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების და საპროცესო უფლებების დარღვევით ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკა ხელისუფლების მიმართ კრიტიკის ჩასახშობად. სამწუხაროდ, ეს პრაქტიკა გრძელდება საბჭოთა პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე დაყრდნობით, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებს.[114] პირთა დაკავებისა და სამართალდამრღვევად ცნობისთვის ძირითადად გამოიყენება კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლები (პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა).[115] ამ განგრძობითი პრობლემის საილუსტრაციოდ წინამდებარე ქვეთავში განხილულია რამდენიმე თვალსაჩინო შემთხვევა.

4.2.1. დაკავებები მარტის აქციების დროს

2023 წლის მარტს ე.წ. „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციებზე სამართალდამცავებმა 169 ადამიანი დააკავა ადმინისტრაციული წესით.[116] 7-8 მარტს დაკავებები განხორციელდა უკანონოდ - დააკავეს არამხოლოდ კონკრეტული სამართალდამრღვევები, არამედ ისინიც, ვინც უბრალოდ „ხელში მოჰყვებოდათ“.[117] დაკავებულ პირებს უმეტესად არ უმარტავდნენ მათ უფლებებს და ზოგჯერ ახლობლებთან და ადვოკატებთან დაკავშირების შესაძლებლობას არ აძლევდნენ.[118] შესაბამისად, დაკავებულების ნაწილის ზუსტი ადგილსამყოფელი და მდგომარეობა ოჯახებისა და ადვოკატებისთვის არ იყო ცნობილი.[119] გარდა ამისა, დაკავების არაერთ ოქმში არასწორად ეწერა დაკავების დრო და დამკავებელი პირების მონაცემები.[120] რაც შეეხება სამართალწარმოებას, დაკავებულთა

---

saqmes-ekhmianeba [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[114] European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 37, იხ.: https://tinyurl.com/3rdpyfpm [ბოლო ნახვა 29.11.2023].

[115] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 162, იხ.: https://tinyurl.com/3p2hbvvf [ბოლო ნახვა 29.11.2023].

[116] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა, იხ.: https://tinyurl.com/yc2e9n8u [ბოლო ნახვა 27.11.2023]; გააუქმეთ დაკავებულთა ჯარიმები, შეწყვიტეთ საქმეთა წარმოება – მიმართვა ხელისუფლებას, იხ.: https://netgazeti.ge/news/659807/ [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[117] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, გვ. 9., იხ.: https://tinyurl.com/mrywe24e [ბოლო ნახვა 28.11.2023].

[118] იქვე.

[119] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებული პირების საქმეების შესახებ, იხ.: https://tinyurl.com/pyvuhxws [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[120] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, გვ. 9., იხ.: https://tinyurl.com/mrywe24e [ბოლო ნახვა 28.11.2023].

ინტერესების დამცავი ორგანიზაციების თანახმად, პროცედურულად სრულიად არაორგანიზებულად მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქმეების სასამართლოში წარდგენა და სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა.[121] ორგანიზაციების განცხადებით, სამინისტროს წარმომადგენლები მოქალაქეებს გვიან ღამით უკავშირდებოდნენ და ატყობინებდნენ, რომ მომდევნო დილას უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში ან მხოლოდ 1-2 საათით ადრე აწვდიდნენ ამ ინფორმაციას.[122] გარდა ამისა, სერიოზული პრობლემა იყო დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არასაკმარისი დროის მიცემა.[123] სასამართლოს დადგენილებები არ ეყრდნობოდა ხოლმე ნეიტრალურ მტკიცებულებებს და არ აზუსტებდა, რა ქმედებაში გამოიხატა სადავო სამართალდარღვევა.[124]

სამართალდამრღვევად ცნობილ მარტის აქციების მონაწილეებს სასამართლომ დააკისრა ჯარიმები ჯამში 50 000 ლარზე მეტი ოდენობით.[125] GDI-ის შეფასებით, აქციის მონაწილეებისთვის დიდი ოდენობით ჯარიმების დაკისრება არღვევს მათ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და მიზნად ისახავს „მსუსხავი ეფექტის“ მოხდენას ამ უფლებებზე.

<u>4.2.2. დაკავება და სამართალდამრღვევად ცნობა „ირაყლისა“ და თეთრი ფურცლის გამო</u>

2023 წლის 02 ივნისს საქართველოს პარლამენტთან სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს რამდენიმე უფლებადამცველი და აქტივისტი, მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ (GDI) თავმჯდომარე ედუარდ მარიკაშვილი, ღია საზოგადოების ფონდის თანამშრომელი - საბა ბრაჭველი, აქტივისტი - ლაშა ჯანჯღავა, ნიკა რომანაძე, ადვოკატი შოთა თუთბერიძე და სხვები.[126] დაკავებისას ედუარდ მარიკაშვილს ხელში ეჭირა თეთრი ცარიელი ფურცელი და მშვიდობიანად გამოხატავდა მხარდაჭერას მანამდე დაკავებული აქტივისტების მიმართ.[127] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობდნენ აქციის დროს დაკავებული სხვა ადამიანებიც. პროტესტის

---

[121] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებული პირების საქმეების შესახებ, იხ.: https://tinyurl.com/pyvuhxws [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[122] იქვე.
[123] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ, გვ. 9., იხ.: https://tinyurl.com/mrywe24e [ბოლო ნახვა 28.11.2023].
[124] იქვე.
[125] თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის 2023 წლის 30 მაისის ფეისბუქ პოსტი, იხ.: https://www.facebook.com/photo/?fbid=646158997540181&set=a.487815280041221 [ბოლო ნახვა 08.12.2023].
[126] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს, იხ.: https://tinyurl.com/3kxvhr29 [ბოლო ნახვა 27.11.2023].
[127] პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე GDI-ს თავმჯდომარე, ედუარდ მარიკაშვილი დააკავეს, იხ.: https://tinyurl.com/mxuw36ym [ბოლო ნახვა 27.11.2023]; პოლიციამ GDI-ს თავმჯდომარე პარლამენტთან ცარიელი ფურცლის დაჭერის გამო დააკავა, იხ.: https://tinyurl.com/jnn6nz4t [ბოლო ნახვა 27.11.2023].

მშვიდობიანი ხასიათის გათვალისწინებით, მათი დაკავება იყო თვითნებური და არაკანონიერი. უფლებადამცველებისა და აქტივისტების დაკავებას ერთობლივად გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ორგანიზაციების შეფასებით, „ქართული საზოგადოება ხდება ამგვარი ნეგატიური ტენდენციის მოწმე, რომელიც ძირს უთხრის დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს და, ფაქტობრივად, არარად აცხადებს გამოხატვის თავისუფლების ძირითად უფლებას“.[128]

დაკავების შემდეგ დაკავებულები პოლიციის მანქანით წაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, სადაც რამდენიმე საათი გაატარეს, პოლიციელები კი არ აძლევდნენ ადვოკატებთან შეხვედრის შესაძლებლობას. შემდეგ, დაკავებულები გადაანაწილეს რეგიონებში, მათ შორის თელავში არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორში და უმეტესობის დაკავების დრო 24 საათიდან 48 საათამდე გაახანგრძლივეს პოლიციელთა სამხრე კამერების ჩანაწერების მოპოვების საბაბით. თუმცა, 2023 წლის 06 ივნისს გამართულ სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ მოუთხოვიათ სამხრე კამერების ჩანაწერების მოპოვება. აღნიშნული უთითებს, რომ დაკავებულთა დაკავების ვადის გახანგრძლივება იყო თვითნებური და უსაფუძვლო.

02 ივნისს დაკავებული 5 პირის საქმეზე სასამართლოში საქმის განხილვა რამდენიმე თვე გაგრძელდა, რამდენჯერმე გადაიდო, საბოლოოდ 2023 წლის 27 სექტემბერს გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. ედუარდ მარიკაშვილი გამართლდა პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობისა და შეურაცხჰყოფის ბრალდებაში, მაგრამ სასამართლომ იგი სამართალდამრღვევად ცნო წვრილმანი ხულიგნობისთვის და 500 ლარიანი ჯარიმა დააკისრა[129]. სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილებები გამოიტანა სხვა დაკავებულთა საბა ბრაჭველის, ნიკა რომანაძის, გრიგოლ ფრანგიშვილის მიმართაც, გარდა ერთი დაკავებულისა, რომელიც სასამართლომ 2000 ლარით დააჯარიმა.[130] სასამართლომ პოლიციის მიერ წარდგენილი ბრალდებები დადასტურებულად მიიჩნია და ასევე დააჯარიმა აქტივისტი, მოძრაობა „ჯიუტის“ წევრი, ლაშა ჯანჯღავა[131] და ადვოკატი შოთა თუთბერიძე.[132]

---

[128] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვეხმიანებით უფლებადამცველების დაკავების ფაქტებს, იხ.: https://tinyurl.com/3kxvhr29 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[129] თეთრი ფურცლების საქმე - დაკავებულები დააჯარიმეს, იხ.: https://tinyurl.com/msuvf6fd [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[130] თეთრი ფურცლების საქმე - დაკავებულები დააჯარიმეს, იხ.: https://tinyurl.com/msuvf6fd [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[131] მოძრაობა „ჯიუტის“ წევრი ლასა ჯანჯღავა აქციაზე დგომის გამო 2000 ლარით დააჯარიმეს, იხ. https://tinyurl.com/yz6a5a9a [ბოლოს ნახვა 27.11.2023]

[132] წარწერისთვის „ირაყლი“ ადვოკატი შოთა თუთბერიძე 500 ლარით დააჯარიმეს, იხ. https://tinyurl.com/4x5vwwcr [ბოლოს ნახვა 27.11.2023]

GDI-ის შეფასებით, მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს უფლებადამცველებზე ზეწოლას მათ მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის საწინააღმდეგოდ.

4.2.3. ადმინისტრაციული დაკავებები ბათუმში

2023 წლის 31 ივლის ქ. ბათუმში გაიმართა აქცია, რომლის მონაწილეები აპროტესტებდნენ რუსული საკრუიზო გემის შემოსვლას ბათუმის პორტში. გავრცელებული ინფორმაციით, გემზე რუსეთის მოქალაქეები მათ შორის უკრაინაში ომისა და პუტინის მხარდამჭერები იმყოფებოდნენ.[133] აღნიშნულის გასაპროტესტებლად დემონსტრანტები უკვე 30 ივლისს, გვიან ღამე შეიკრიბნენ პორტის მიმდებარედ, მაგრამ პოლიციამ აქციის დაწყებამდე გადაკეტა ქუჩები და უსაფრთხოების მიზნით შემოსაზღვრა ნავსადგურის ტერიტორია .[134] ტერიტორიაზე მობილიზებული იყო დიდი რაოდენობით პოლიციელი.[135] აქციის მსვლელობისას პოლიციამ 20-ზე მეტი მონაწილე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით დააკავა.[136] ამ ფაქტს განცხადებით გამოეხმაურნენ სამოქალაქო ორგანიზაციები, მათ შორის GDI. მათი ინფორმაციით, პოლიციამ ხელი შეუშალა დაკავებულებს ადვოკატთან შეხვედრის უფლებით სარგებლობაში.[137] სწორედ განცხადების ავტორი ორგანიზაციების ადვოკატები იცავდნენ დაკავებულთა ნაწილს, მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში მათთვის უცნობი იყო, სად იმყოფებოდნენ დაკავებული პირები.[138] დაკავებულთა მონახულება მხოლოდ დღის ბოლოს, სხვადასხვა ქალაქების (ზუგდიდის, ოზურგეთის, სენაკის, სამტრედიის) დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოხერხდა.[139] ასევე აღსანიშნავია, რომ დაკავებულთა ნაწილი უთითებდა პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებზე.[140] ბათუმში აქციისას განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ბოროტად გამოყენების პრაქტიკას.

---

[133] "მთავარის" ინფორმაციით, ბათუმში აქციაზე 10-მდე პირი დააკავეს - პროტესტი გრძელდება, ვითარება ადგილზე, იხ.: https://tinyurl.com/yh7c5cyn [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[134] ბათუმის ნავსადგურში პოლიცია აქციის მონაწილეებს შეკრების საშუალებას არ აძლევს, იხ.: https://tinyurl.com/5yfkan6a [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[135] "მთავარის" ინფორმაციით, ბათუმში აქციაზე 10-მდე პირი დააკავეს - პროტესტი გრძელდება, ვითარება ადგილზე, იხ.: https://tinyurl.com/yh7c5cyn [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[136] ბათუმში აქციაზე 23 ადამიანი დავაკავეთ — შსს, იხ.: https://tinyurl.com/4y6nxykw [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[137] ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს არღვევს, იხ.: https://tinyurl.com/2tj59ehc [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[138] იქვე.

[139] იქვე.

[140] იქვე.

4.2.4 დაკავებები ყვარელში

2023 წლის 19 მაისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყვარლის ტბასთან მდებარე სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, სანქცირებული სერგეი ლავროვის ოჯახის წევრები და იგეგმებოდა ლავროვის შვილის მაზლის ქორწილი.[141] აღნიშნულის გასაპროტესტებლად, 20 მაისს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა აქცია, რომლის 20-ზე მეტი მონაწილე დააკავეს სამართალდამცავებმა. დაკავებებს გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის GDI. მათი განცხადებით, გავრცელებულ კადრებში ჩანდა „პოლიციის მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები“, ხოლო პოლიცია არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატებს უკანონოდ არ უშვებდა დაკავებულებთან.[142] საბოლოოდ, სასამართლომ 14 დაკავებულიდან მხოლოდ სამს მისცა სიტყვიერი შენიშვნა, დანარჩენი 11 კი გაამართლა.[143]

4.3. პრაიდ ფესტივალის ჩაშლა

2023 წლის 08 ივლისს დაგეგმილი იყო „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული პრაიდის კვირეულის ფარგლებში ფესტივალის გამართვა კერძო შემოსაზღვრულ სივრცეში, ღია ცისქვეშ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, ძალადობრივმა სიძულვილის ჯგუფებმა, მათ შორის ალტ-ინფოს მხარდამჭერებმა, ფესტივალი ჩაშალეს მის დაწყებამდე.[144] კერძოდ, ისინი 08 ივლისის დილას წინასწარ შეიკრიბნენ თბილისში ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სადაც ღიად გაჟღერდა ძალადობრივი მოწოდებები და სიძულვილის ჯგუფების გეგმა, რომ არ დაეშვათ ფესტივალის ჩატარება.[145] შეკრების ადგილიდან კონტრ-დემონსტრაციის მონაწილეები მსვლელობით გაემართნენ ნუცუბიძის პლატოს გავლით ფესტივალის ტერიტორიისკენ.[146] მსვლელობისას მათთვის პოლიციას არ გაუწევია

---

[141] მოსამართლემ გაამართლა ლავროვის შვილის საწინააღმდეგო აქციაზე დაკავებული 11 ადამიანი, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/32590713.html [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[142] ადვოკატებს დაკავებულ აქტივისტებთან არ უშვებენ, იხ.: https://www.gdi.ge/ge/news/yvarelshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmianeba-2 [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[143] მოსამართლემ გაამართლა ლავროვის შვილის საწინააღმდეგო აქციაზე დაკავებული 11 ადამიანი, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/32590713.html [ბოლო ნახვა 08.12.2023].

[144] მოძალადე ჯგუფებმა “თბილისი პრაიდის” ფესტივალი ჩაშალეს, იხ.: https://tinyurl.com/4xbacru9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; პრაიდის ფესტივალი ჩაიშალა, ორგანიზატორები ტერიტორიას ტოვებენ, იხ.: https://tinyurl.com/43uaamun [ბოლო ნახვა 27.11.2023]; იოგას ხალიჩები და კოკა-კოლა - როგორ ჩაშალეს ძალადობრივმა ჯგუფებმა თბილისი პრაიდის ფესტივალი, იხ.: https://tinyurl.com/469afx7j [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[145] მოძალადე ჯგუფებმა “თბილისი პრაიდის” ფესტივალი ჩაშალეს, იხ.: https://tinyurl.com/4xbacru9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; "პრაიდ ფესტივალის" მოწინააღმდეგეებმა მსვლელობა დაიწყეს, იხ.: https://tinyurl.com/2a3j9w7t [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[146] მოძალადე ჯგუფებმა “თბილისი პრაიდის” ფესტივალი ჩაშალეს, იხ.: https://tinyurl.com/4xbacru9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; "პრაიდ ფესტივალის" მოწინააღმდეგეებმა მსვლელობა დაიწყეს, იხ.:

რეალური წინააღმდეგობა[147] მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალის ადგილას მისვლის შემთხვევაში ვითარების ესკალაციის და ფესტივალის ორგანიზატორთა მიმართ აგრესიის სერიოზული საფრთხე ცხადი იყო სიძულვილის ჯგუფების წინმსწრები განცხადებებისა[148] და წარსულის ძალადობრივი გამოცდილების (მათ შორის 2021 წლის 05 ივლისის) გათვალისწინებით. მართლაც, ფესტივალის ტერიტორიაზე მისულმა სიძულვილის ჯგუფებმა დაარბიეს იქ არსებული კონსტრუქციები, ინვენტარი, ასევე მათგან დასაცავად საჭირო გახდა ფესტივალის ორგანიზატორთა ევაკუაცია.[149] პრაიდის ფესტივალის ჩაშლა დაგმეს საელჩოებმა, ევროკავშირის წარმომადგენლობამ, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა და გაეროს წარმომადგენლობამ.[150] ფესტივალის დარბევას ასევე გამოეხმაურა GDI, რომლის პოზიციით, „განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა რეალური ნება, შეესრულებინა საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულებები და გაეკეთებინა ყველაფერი, რათა ფესტივალის ორგანიზატორებს მისცემოდათ ღონისძიების გამართვის შესაძლებლობა“.[151] ფესტივალის დარბევაზე განცხადება გაავრცელეს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. მათი პოზიციით, 08 ივლისის მოვლენები „გაგრძელებაა 2021 წლის 05 ივლისის, რომლის გამოძიებაშიც საერთოდ რეაგირების გარეშეა დატოვებული ძალადობის ორგანიზატორების და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც ევალებოდა 2021 წლის 05 ივლისს, ჯეროვნად დაეცვა ადამიანები სიძულვილის ჯგუფებისგან“.[152] სამწუხაროდ, სახელმწიფო უკვე წლებია სისტემურად არ არსრულებს თავის ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს ლგბტქი+ თემის წევრებისა და მხარდამჭერების შეკრების თავისუფლების რეალიზაცია უსაფრთხო გარემოში. 08 ივლისს პრაიდის ფესტივალის ძალისმიერი ჩაშლა მიანიშნებს, რომ დაუსჯელობის სინდრომსა და ძალადობის გამეორებას ხელს უწყობს წარსულში მომხდარი

---

https://tinyurl.com/2a3j9w7t [ბოლო ნახვა 27.11.2023]; იოგას ხალიჩები და კოკა-კოლა - როგორ ჩაშალეს ძალადობრივმა ჯგუფებმა თბილისი პრაიდის ფესტივალი, იხ.: https://tinyurl.com/469afx7j [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[147] მოძალადე ჯგუფებმა “თბილისი პრაიდის” ფესტივალი ჩაშალეს, იხ.: https://tinyurl.com/4xbacru9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; იოგას ხალიჩები და კოკა-კოლა - როგორ ჩაშალეს ძალადობრივმა ჯგუფებმა თბილისი პრაიდის ფესტივალი, იხ.: https://tinyurl.com/469afx7j [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[148] მაგალითისთვის, შემდეგი განცხადება: მორგოშია: 8 ივლისი 5 ივლისს დადგმულ კუბოზე ბოლო ლურსმნის დაჭედება იქნება, იხ.: https://tinyurl.com/2s49mkn6 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[149] მოძალადე ჯგუფებმა “თბილისი პრაიდის” ფესტივალი ჩაშალეს, იხ.: https://tinyurl.com/4xbacru9 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; იოგას ხალიჩები და კოკა-კოლა - როგორ ჩაშალეს ძალადობრივმა ჯგუფებმა თბილისი პრაიდის ფესტივალი, იხ.: https://tinyurl.com/469afx7j [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[150] რეაქციები პრაიდის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობაზე, იხ.: https://civil.ge/ka/archives/551393 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[151] GDI ეხმაურება პრაიდ ფესიტვალის ჩაშლას, იხ.: https://tinyurl.com/srk7x92b [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[152] შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელ პოლიტიკას ატარებს, იხ.: https://tinyurl.com/493hn3vj [ბოლო ნახვა 27.11.2023].

მსგავსი ძალადობრივი შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება, მათ შორის ორგანიზატორთა დაუსჯელობა.[153] 08 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით ფესტივალის ორგანიზატორების ინტერესებს GDI იცავს.

4.4. შეკრების თავისუფლების მზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წლის 5 ოქტომბერს პარლამენტმა დაჩქარებული პროცედურის შემდეგ მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.[154] ცვლილებების მიხედვით, „შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ მოაწყონ დროებითი კონსტრუქცია, თუ მისი მოწყობა საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს, ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას, აფერხებს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას, ამ კონსტრუქციის მოწყობის გარეშე არსებითად არ ფერხდება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება ან/და მისი მოწყობა არ უკავშირდება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას“.[155] ამ აკრძალვის დარღვევა გამოიწვევს „სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია – სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით“.[156] საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო პაკეტს ვეტო დაადო[157] და ჯერჯერობით პარლამენტს მის დაძლევაზე არ უმსჯელია.

GDI გამოეხმაურა კანონპროექტებს.[158] GDI-ის პოზიციით, დაგეგმილი კანონპროექტის მიღებით გაიზრდება დემონსტრანტების შეკრების თავისუფლებაში ხელისუფლების მიერ თვითნებურად ჩარევის საფრთხე.

---

[153] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF WOMEN'S INITIATIVES SUPPORTING GROUP AND OTHERS v. GEORGIA, აბზაცი 76.

[154] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები, იხ.: https://parliament.ge/legislation/27152 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[155] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთი, იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/341196 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[156] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/341198 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[157] პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ოთარ ფარცხალაძისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ბრძანებულებას და ვეტო დაადო მანიფესტაციების კანონს, იხ.: https://tinyurl.com/4p8zc8hm [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[158] GDI-ს განცხადება კარვების გაშლის მოსალოდნელ აკრძალვაზე, იხ.: https://tinyurl.com/3yk39xyr [ბოლო ნახვა 27.11.2023].

აღსანიშნავია, რომ წარსულში დაფიქსირებულა არაერთი შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეებს უკანონოდ არ მისცეს კარვების გამართვის შესაძლებლობა.[159] ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებლობა ისედაც უშვებს შეკრების თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სხვათა უფლებების დასაცავად და ადმინისტრაციული ორგანოს შეუფერხებლად საქმიანობის უზრუნველსაყოფად.[160] ამ პირობებში, GDI მიიჩნევს, რომ კანონის გამკაცრება რეალურად ემსახურება არა რაიმე საჯარო ინტერესს, არამედ ქმნის აქციის მონაწილეთა დასჯის დამატებით ბერკეტს, რასაც „მსუსხავი ეფექტი“ ექნება შეკრების თავისუფლებაზე.

საკანონმდებლო ცვლილებებზე სახალხო დამცველმაც გაავრცელა განცხადება. სახალხო დამცველის შეფასებით, კანონპროექტებით „სახეზეა გამოხატვის/შეკრების თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევა, რომელიც ზღუდავს აზრის გამოხატვას დროებითი კონსტრუქციების (მაგალითად, კარვის) გამოყენებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ამგვარი ინტენსიური შეზღუდვა შესაძლებელია გამართლდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი, წონადი ინტერესის დაცვის საჭიროებით, რაც წარმოდგენილი კანონპროექტით არ იკვეთება“.[161]

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) მოამზადა სასწრაფო დასკვნა კანონპროექტების შესახებ.[162] დასკვნის მიხედვით, საკანონმდებლო ცვლილებები ვერ აკმაყოფილებს შეკრების თავისუფლების შეზღუდვაზე საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს და არ უნდა იქნას მიღებული.[163]

---

[159] სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის შენობასთან მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება, იხ.: https://tinyurl.com/2p9ued78 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტის წინ შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, იხ.: https://tinyurl.com/nprmc6r7 [ბოლო ნახვა 27.11.2023]; საქართველოს სახალხო დამცველი რკინიგზელების შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვის ფაქტს ეხმიანება, იხ.: https://tinyurl.com/mwvw4ann [ბოლო ნახვა 27.11.2023]; შსს უხეშად არღვევს ბექა გრიგორიადისის შეკრებისა და გამოხატვის უფლებას, იხ.: https://tinyurl.com/57vvc2yk [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[160] „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

[161] სახალხო დამცველის განცხადება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, იხ.: https://tinyurl.com/mrdhw34b

[162] ეუთო/ოდირმა სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე დასკვნა მოამზადა, იხ.: https://tinyurl.com/mr3d2565 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[163] OSCE ODIHR, URGENT OPINION ON PROPOSED AMENDMENTS TO THE LAW OF GEORGIA ON ASSEMBLIES AND DEMONSTRATIONS AND TO THE ADMINISTRATIVE OFFENCES CODE, Warsaw, 6 November 2023 Opinion-Nr.: FOPA-GEO/487/2023 [AlC/NR], გვ. 4, იხ.: https://tinyurl.com/mr3jbw58 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

5. თანასწორობა

5.1. თავდაცვის კოდექსი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წლის 21 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა თავდაცვის კოდექსი და კოდექსთან დაკავშირებული კანონპროექტები მე-3 მოსმენით მიიღო.[164] ცვლილებების შედეგად, მღვდელთმსახურობა და სასულიერო სასწავლებელში სწავლა აღარ არის სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების საფუძველი,[165] ხოლო არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს ექვემდებარებიან სასულიერო პირები.[166] აღნიშნული მოწესრიგება არ ვრცელდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებზე, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით, ანუ უპირატესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტით გათავისუფლებული არიან როგორც სამხედრო, ისე ალტერნატიული სამსახურისგან.[167] შესაბამისად, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოქმნის განსხვავებულ მოპყრობას, ერთი მხრივ, სამხედრო ვალდებულებისგან სრულად გათავისუფლებულ მართმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებსა და, მეორე მხრივ, ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციის/გაერთიანების სასულიერო პირებს შორის, რომლებსაც ევალებათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა. სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ შეფასებით,[168] აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებელია და არღვევს კონსტიტუციით დაცულ თანასწორობის უფლებას, რადგან, კონსტიტუციური სტანდარტის საწინააღმდეგოდ, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს.[169]

დისკრიმინაციული მიდგომის გარდა, საკანონმდებლო ცვლილებები პრობლემურია რელიგიის თავისუფლების, პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის კუთხითაც, რამდენადაც, თავდაცვის კოდექსის მიხედვით, სამობილიზაციო რეზერვის აღრიცხვის მიზნით, რეზერვის ელექტრონულ სისტემაში შეიტანება ინფორმაცია პირის აღმსარებლობისა და

---

[164] პარლამენტმა „თავდაცვის კოდექსი“ მესამე მოსმენით მიიღო, იხ.: https://tinyurl.com/yzbbuz2a [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[165] საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[166] „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი.

[167] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[168] სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!“ თავდაცვის კოდექსით დადგენილ მოწესრიგებას დისკრიმინაციულად და არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, იხ.: https://tinyurl.com/28artvp7 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[169] საკანონმდებლო ცვლილებების კონსტიტუციურობის დეტალური შეფასებისთვის გთხოვთ იხ.: თავდაცვის კოდექსის დისკრიმინაციული ჩანაწერის ანალიზი ვებმისამართზე: https://tinyurl.com/nhkucp4u [ბოლო ნახვა 27.11.2023].

მღვდელთმსახურობის შესახებ,[170] ანუ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი. ამ ინფორმაციის იძულებით, სავალდებულო წესით გამჟღავნების შემთხვევაში დაირღვევა როგორც რწმენისა და რელიგიის, ისე პირადი ცხოვრების თავისუფლება.[171]

5.2. ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა ლგბტქი+ თემის მიმართ

სამწუხაროდ, 2023 წელს დაფიქსირდა ჰომოფობიური ხასიათის მზარდი რიტორიკაც. მაგალითისთვის, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სიმართლეს და თავისუფლებას უპირისპირდებიან „სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით“.[172] ასევე პრემიერ-მინისტრის თქმით, „საგანგაშო ტენდენციაა საფრანგეთში, ახალგაზრდების 22% აცხადებს თავს ლგბტ-დ“.[173] ანალოგიურად, მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, უნდა გაიმიჯნოს, „ერთმანეთისგან პროპაგანდა გარკვეული თემების, მათ შორის ლგბტ-პროპაგანდა, და ადამიანების უფლებების დაცვა, რომელიც გარკვეულ ჯგუფს წარმოადგენენ“[174]. მამუკა მდინარაძის თქმით, „როგორც აღმოჩნდა, ძალიან ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევაში, პროპაგანდას მოაქვს ასეთი შედეგები, რომ რაოდენობა შეიძლება იზრდებოდეს ამის გამო“.[175] საყურადღებოა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა განცხადებებში უკვე პირდაპირ ახსენეს უარყოფითი კონოტაციის მქონე ფრაზა „ლგბტ პროპაგანდა“, რაც ჰქმნის პოლიტიკურ-პოპულისტური მიზნებისთვის ჰომოფობიის გამოყენების საფრთხეს.[176] ამ მხრივ, ევროკავშირის გაფართოების ფარგლებში საქართველოზე ანგარიშში ნახსენებია ჰომოფობიური სენტიმენტების

---

[170] “თავდაცვის კოდექსის” 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის “კ” ქვეპუნქტი.

[171] საკანონმდებლო ცვლილებების კონსტიტუციურობის დეტალური შეფასებისთვის გთხოვთ იხ.: თავდაცვის კოდექსის დისკრიმინაციული ჩანაწერის ანალიზი ვებმისამართზე: https://tinyurl.com/nhkucp4u [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[172] ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე, იხ.: https://tinyurl.com/2c82sby6 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[173] ღარიბაშვილი „ლგბტ პროპაგანდის“ კანონით დარეგულირებაზე საუბრობს, იხ.: https://netgazeti.ge/life/677861/ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[174] „გვმართებს, ამაზე სერიოზულად ვიფიქროთ" - მდინარაძის ჰომოფობიური განცხადება „ლგბტ-პროპაგანდაზე", იხ.: https://tinyurl.com/44zn2fjz [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[175] საქართველოში მორიგი "რუსული კანონის" მიღებას აპირებენ - ამჯერად საუბარია "ლგბტქ პროპაგანდის" აკრძალვაზე, იხ.: https://tinyurl.com/2jzu724v [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[176] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, პრემიერის ჰომოფობიური გზავნილები ულტრამემარჯვენე ძალების რიტორიკასთან თანხვედრაშია, იხ.: https://www.democracyresearch.org/geo/1188/ [ბოლო ნახვა 27.11.2023].

პოლიტიკურად ექსპლოატაცია.[177] ამასთანავე, ზემოხსენებული განცხადებები არ შეესაბამება ხელისუფლების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოწოდებას, რომ უმაღლეს დონეზე მკაფიოდ გამოხატოს ნულოვანი ტოლერანტობა სიძულვილის დანაშაულებისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის მიმართ.[178] ასევე აღსანიშნავია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიში, რომლის მიხედვით, კომისარი გაოცებული იყო მაღალი რანგის ხელისუფალთა მიერ გამოხატული არატოლერანტობის გამო.[179] ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ აღნიშნული რიტორიკა ვლინდება ხელისუფლების პოლიტიკაში. კერძოდ, მწვავე კრიტიკა დაიმსახურა ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაში ლგბტქი+ თემის საჭიროებების სრულმა იგნორმა, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაზიარებულ სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროექტშიც მეორდება.[180]

5.3. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი

2023 წლის 16 თებერვალს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდსა და „ფეისბუქ" გვერდზე გამოქვეყნდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი.[181] გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, სამოქმედო გეგმის პროექტი მომზადდა სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის წევრ უწყებებს შორის თანამშრომლობით, ხოლო პროექტზე მოსაზრებების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2023 წლის 24 თებერვალი.[182]

სამოქმედო გეგმის პროექტის გამოქვეყნებას გამოეხმაურნენ სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!" წევრი ორგანიზაციები.. ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ, მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, დოკუმენტის მომზადებაში

---

[177] Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, page. 40, available at.: https://tinyurl.com/3rdpyfpm[ბოლო ნახვა 27.11.2023].

[178] Decision of the Committee of Ministers of the Council of Union on Identoba and Others Group v. Georgia, adopted at 1451st meeting, 6-8 December 2022, paragraph 4.

[179] Commissioner for Human Rights of the Council of Europe Dunja Mijatovic Report following her visit to Georgia from 21 to 24 February 2022, paragraph 22, available at: https://tinyurl.com/44pzcepa [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[180] სამოქალაქო პლატფორმა „არა-ფობიას!" ეხმიანება სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ლგბტქი+ თემის საჭიროებების იგნორს https://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platforma-ara-fobias-ekhmianeba-samtavrobo-samoqm [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[181] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2023 წლის 16 თებერვლის ფეისბუქ პოსტი, იხ.: https://tinyurl.com/382pfuev [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[182] იქვე.

ჩართულობის შესახებ მოწვევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არ ჰქონდათ მიღებული.[183] შესაბამისად, სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების სამუშაო პროცესი თავიდანვე უნდა ყოფილიყო უფრო მონაწილეობითი. ამასთანავე, ორგანიზაციებმის პოციზიით, სამოქმედო გეგმის პროექტის მოცულობის გამო მის შესახებ სრულფასოვანი, სიღრმისეული უკუკავშირის მომზადება და წარდგენა მოითხოვდა ბევრად უფრო მეტ ვადას, ვიდრე ეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაადგინა.[184] აქედან გამომდინარე, ორგანიზაციების შეფასებით, მინისტრის აპარატის მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის ფორმა იყო ფორმალური, ზედაპირული.[185]

5.4. სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით მოტივირებული (შრომითი) დავები

2023 წელს მიღებული რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება ეხებოდა სხვადასხვა ა(ა)იპ-დან თუ საჯარო დაწესებულებიდან უკანონო გათავისუფლებებს. მიღებული გადაწყვეტილებებით მოპასუხე დამსაქმებლებს დაევალათ მოსარჩელეების სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.[186] ამ საქმეებში გათავისუფლებული პირები უთითებდნენ თანამდებობდებიდან მათი გათავისუფლების პოლიტიკურ მოტივზე, კერძოდ საკუთარ ან თავიანთი ნაცნობების კავშირზე ყოფილი პრემიერ მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიასთან.[187] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2021 წელს მიუთითა ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური შეხედულების გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებისა და შრომითი უფლებების სხვა სავარაუდო დარღვევების

---

[183] სამოქალაქო პლატფორმის „არა ფობიას!“ წევრი ორგანიზაციების განცხადება, იხ.: https://tinyurl.com/yfrx5v8d [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[184] იქვე.

[185] იქვე.

[186] უზენაესმა სასამართლომ ,,სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირის საკასაციო საჩივარი დააკმაყოფილა და მოპასუხეს კომპენსაციის გადახდა დააკისრა, იხ.: https://tinyurl.com/bd7z6jev [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ტყიბულის მაგისტრატმა სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი ნელი ქარელი-კახიძე სამსახურში დაუყოვნებლივ აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/2tj8eh2p [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ფოთის საქალაქო სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამსახურში აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/j6mn6zyv [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ფოთის საქალაქო სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამსახურში აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/2psw2u8a [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[187] ტყიბულის მაგისტრატმა სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი ნელი ქარელი-კახიძე სამსახურში დაუყოვნებლივ აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/2tj8eh2p [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ფოთის საქალაქო სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამსახურში აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/j6mn6zyv [ბოლო ნახვა 27.11.2023]; ფოთის საქალაქო სასამართლომ „სამართლიანი არჩევნების" დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამსახურში აღადგინა და განაცდური ხელფასი მიაკუთვნა https://tinyurl.com/2psw2u8a [ბოლო ნახვა 27.11.2023].

ტენდენციაზე.[188] სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „უთანასწორო მოპყრობის მიზეზად განმცხადებლები, ძირითადად, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას პარტიის წევრებთან მათი ან მათი ოჯახის წევრის ნათესაურ, მეგობრულ თუ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს ასახელებდნენ“.[189] ანალოგიურად, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგზე ISFED-ის შუალედური ანგარიშის თანახმად, ტენდენციის სახე ჰქონდა „შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების, ზეწოლისა და მტრული სამუშაო გარემოს შექმნის ფაქტებს მთელი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც, ძირითადად, პარტია "საქართველოსთვის" მხარდამჭერების ან მის მიმართ კეთილგანწყობილი პირების წინააღმდეგაა მიმართული“.[190]

სავარაუდო პოლიტიკური მოტივი იკვეთება ასევე საჯარო სკოლის დირექტორთა შერჩევის პროცესში. კერძოდ, ISFED-ის შეფასებით, 2023 წელს საჯარო სკოლების დირექტორთა სერტიფიცირების პროცესის გასაუბრების ეტაპი ჩატარდა არაერთი არსებითი პროცედურული დარღვევით, რომლებსაც საბოლოო გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ.[191] აქვე აღსანიშნავია ISFED-ის კვლევა, რომლის თანახმად, 2020 წელს მმართველ პარტიას და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შედგენილი ჰქონდათ საჯარო სკოლების დირექტორების დახასიათებები/პოლიტიკური დოსიები, რომლებიც მათი შერჩევისას/დანიშვნისას გამოიყენებოდა.[192] ამ კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ 2023 წელს საჯარო სკოლების დირექტორთა სერტიფიცირების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად უდევს პოლიტიკური მოტივები.

---

[188] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ 140, იხ.: https://tinyurl.com/ytj6ka32 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[189] იქვე.

[190] ISFED, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის I შუალედური ანგარიში, 2021 წლის 1 სექტემბერი, გვ. 4, იხ.: https://tinyurl.com/tddak6w6 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[191] „სამართლიანი არჩევნები" საჯარო სკოლის დირექტორთა სერტიფიცირების პროცესში მონაწილე 27 კონკურსანტის ინტერესებს სასამართლოში იცავს, იხ.: https://tinyurl.com/3cpsdeyh [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[192] იქვე; ISFED-ის ანგარიში "სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდები საქართველოში", გვ 39-45, იხ.: https://tinyurl.com/4z5392vn [ბოლო ნახვა 27.11.2023].

6. სამართლიანი სასამართლოს უფლება და მართლმსაჯულება

6.1 ევროკომისიის რეკომენდაციები

2023 წელს ქართული მართლმსაჯულების სისტემა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე იდგა. ევროკავშირში გაწევრიანების სწრაფვის ფონზე, შეუსრულებელი რჩება ევროკომისიის რეკომენდაციების ის ნაწილი, რომელიც სასამართლო სისტემის რეფორმირებას ეხება. ვენეციის კომისია და ევროკომისია კვლავ საუბრობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმისა და მართლმსაჯულების სისტემაში პირადი ინტერესების მინიმიზაციის აუცილებლობაზე.[193]

2023 წლის 08 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რომლის 9 დათქმიდან ერთ-ერთი შეეხებოდა სასამართლო რეფორმის დასრულებას.[194] ანგარიშის თანახმად, საქართველოს საერთო ჯამში ამ მიმართულებით შეზღუდული პროგრესი აქვს.[195] ევროკომისიის შეფასებით, შემუშავებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ პასუხობს მართლმსაჯულების მთავარ გამოწვევებს. ვენეციის კომისიის მთავარი რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ კვლავ უპასუხოდ დარჩა.[196]

ევროკომისიამ ჩამოაყალიბა 3 პრიორიტეტული საკითხი, რომელიც საქართველომ 2024 წლისთვის უნდა შეასრულოს:[197]

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილებები ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან სრულ შესაბამისობაში, ისეთ საკითხებზე როგორიცაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება მოსამართლეთა გადაადგილების და დისციპლინურ სამართალწარმოების დროს და ასევე უზენაეს

[193] Venice Commission, Georgia - Follow-up Opinion to four previous opinions concerning the Organic Law on Common Courts, Strasbourg, 14 March 2023, CDL-AD(2023)006, იხ.: https://bit.ly/4665kHa [ბოლო ნახვა 17.11.2023]; EUROPEAN COMMISSION, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, 17 June 2022, COM(2022) 405 final , იხ.: https://bit.ly/479R9Cl [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[194] EUROPEAN COMMISSION, Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic And Social Committee And The Committee Of The Regions , Brussels, 8 November 2023, COM(2023) 690 final, გვ. 25, იხ.: https://bit.ly/3ur4G9U [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[195] EUROPEAN COMMISSION, Georgia 2023 Report , Brussels, 8 November 2023, SWD(2023) 697 final, გვ. 20, იხ.: https://bit.ly/3sArUtR [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[196] იქვე.

[197] იქვე.

სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში გასაჩივრების ეფექტური უფლება.

2. განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო რეფორმა. კერძოდ, შეიქმნას განსაკუთრებული პატიოსნების/კეთილსინდისიერების (integrity) შემოწმების სისტემა, საერთაშორისო ექსპერტების გადამწყვეტი ჩართულობით. სასამართლო სისტემის ყველა წამყვანი თანამდებობის კანდიდატისა და ამჟამად დანიშნული პირებისთვის, კერძოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უზენაესი სასამართლოს და სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის. გარდა ამისა, შეიქმნას ეფექტური მუდმივი და პერიოდული ქონებრივი დეკლარაციების სისტემა, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით როგორც საზედამხედველო, ასევე საკონსულტაციო ფუნქციებით.

3. მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც მოიცავს გენერალური პროკურორის დანიშვნის პროცედურის შეცვლას პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით; პროკურატურის შესახებ კანონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ვენეციის კომისიის, OECD და TAIEX-ის რეკომენდაციების შესაბამისად მართლმსაჯულების სექტორის ფუნქციონირებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

6.2 გავლენები მართლმსაჯულების სისტემაზე

6.2.1. მოსამართლეთა სანქცირება

სასამართლო სისტემაში არსებული კორუფციის, ნეპოტიზმისა და კრონიზმის ფონზე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო აშშ-ს ტერიტორიაზე შესვლაზე პერსონალური სანქციები დაუწესა სამ მოქმედ მოსამართლეს - მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ერთ ყოფილ მოსამართლეს, ვალერიან ცერცვაძეს.[198]

მიხეილ ჩინჩალაძე ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს (2017 წლიდან) და ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეა (2020 წლიდან), წარსულში იგი ასევე იკავებდა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2019 - 2020), უზენაესი სასამართლოს მოსამართლის (2007 - 2017) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის პოზიციას (2007 - 2015).

[198] U.S. EMBASSY TBILISI, STATEMENT BY SECRETARY ANTONY J. BLINKEN: Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, 5 April 2023, იხ.: https://bit.ly/46euCCU [ბოლო ნახვა 17.11.2023].

მიხეილ ჩინჩალაძე სახელდება სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან პირად, როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში.[199]

ლევან მურუსიძე ამჟამად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია. 2013 - 2017 წლებში იგი ასევე იკავებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციას. 2006 - 2015 წლებში ის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო. მის სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე, მაგალითად სანდრო გირგვლიანის, გიორგი მიქიაშვილის და ანანია გაჩეჩილაძის („აიისას“) საქმეები.[200]

ირაკლი შენგელია ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და საპროკურორო საბჭოს წევრია, წარსულში იგი ასევე იკავებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (2017 - 2021), თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2019), ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის (2017) და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის (2007, 2012, 2016, 2017) პოზიციებს. ირაკლი შენგელიას მიმართებით ფიქსირდება ნეპოტიზმის ბრალდებები.[201]

ვალერიან ცერცვაძე 2017 წლიდან მოსამართლის უფლებამოსილებას აღარ ახორციელებს. წარსულში იგი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის საბჭოს თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციას იკავებდა.

სანქცირებულ პირებს სხვადასხვა პერიოდებში მხარდაჭერა გამოუცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა,[202] უზენაესი სასამართლოს მოქმედმა მოსამართლეებმა ვლადიმერ კაკაბაძემ[203] და ლევან თევზაძემ,[204] თბილისის

---

[199] “კლანის წევრები ან მათთან დაახლოებულები" - ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იხ.: https://bit.ly/47gUy2l [ბოლო ნახვა 17.11.2023]; „სანქცირებული კლანის წევრები“ - რა ვიცით მოსამართლეებზე, მათ კავშირებსა და გავლენებზე, იხ.: https://rb.gy/ftf5ds [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[200] ლევან მურუსიძე ისევ მოსამართლეა, იხ: https://bit.ly/47gUEqI , [ბოლო ნახვა 17.11.2023]; აიისამ სტრასბურგის სასამართლოში დავა მოიგო, იხ.: https://formulanews.ge/News/53987 [ბოლო ნახვა 27.11.2023].

[201] ნეპოტიზმი სასამართლო სისტემაში, იხ.: https://bit.ly/3SMBSD4 , [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[202] ნინო ქადაგიძე, ნიკოლოზ მარსაგიშვილი, თამარ ღვამიჩავა, ქეთევან ცინცაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, ლევან მიქაბერიძე, თემურ გოგოხია, ბადრი შონია, პაატა სილაგაძე.

[203] ვლადიმერ კაკაბაძის კომენტარი ლევან თევზაძის Facebook პოსტზე. იხ.: https://bit.ly/40G4TCu [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[204] ლევან თევზაძის Facebook პოსტი, იხ.: https://bit.ly/40G4TCu [ბოლო ნახვა 17.11.2023].

სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მოსამართლე დავით მამისეიშვილმა.[205]

2023 წლის 10 აპრილს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შეხვდა,[206] მათ შორის სანქცირებულ მოსამართლე ლევან მურუსიძეს. ღარიბაშვილმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ყველა მოსამართლეს და განაცხადა, რომ სასამართლო ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში გახდა დამოუკიდებელი და მიუღებელია ყოველგვარი ჩარევა ან რაიმე გავლენის მოხდენა მოსამართლეებზე.[207]

2023 წლის 6 აპრილს საპარლამენტო ოპოზიციამ მოსამართლეთა დასანქცირებისას მითითებული „მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის“ შესასწავლად, დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. 18 ოქტომბერს პარლამენტში პლენარულ სხდომაზე აღნიშნული საკითხი კენჭისყრაზე იქნა დაყენებული, თუმცა მმართველმა პარტიამ მოსამართლეების მიმართ სოლიდარობის ნიშნად არ გაიარა რეგისტრაცია და კვორუმის არარსებობის გამო ამ საკითხზე კენჭისყრა ვერ შედგა.[208]

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მმართველი პარტიის მსგავსი ქმედება სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის - კლანის მხარდაჭერის გამოხატვად შეაფასა.[209]

დასანქცირებულ მოსამართლეთა სოლიდარობის ნიშნად, აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარი განაცხადა სამმა მოსამართლემ: ნანა ჯოხაძემ, თამარ ბეჟანიშვილმა და კონსტანტინე კოპალიანმა.[210] მოგვიანებით მათ შეუერთდა მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი.[211] ტელეკომპანია „ფორმულამ“ სასამართლოდან კონფიდენციალურობის დაცვის პირობით გაარკვია, რომ რამდენიმე მოსამართლეს

---

[205] დავით მამისეიშვილი: გამოდის, გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა ვიფიქროთ იმაზე, მოეწონება თუ არა ეს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის საელჩოს, იხ.: https://bit.ly/3QDYq6h [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[206] მიუღებელია სუვერენულ სასამართლოში ჩარევა — ღარიბაშვილი მოსამართლეთა სანქცირებაზე, იხ.: https://bit.ly/49xhYSz [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[207] იქვე.

[208] პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნაზე კენჭისყრა ჩავარდა, ოცნებამ რეგისტრაცია არ გაიარა, იხ.: https://bit.ly/3G6BYxY [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[209] „ქართული ოცნება“ აგრძელებს სასამართლო კლანის ინტერესების დაცვას, იხ.: https://bit.ly/3QXtMpS [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[210] სამმა მოსამართლემ აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარი თქვა – გვრიტიშვილი, იხ.: https://bit.ly/46cKeaa [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[211] "შეიძინა პოლიტიკური შინაარსიც" - მოსამართლე აშშ-ში სასწავლო ვიზიტზე უარს ამბობს, იხ.: https://bit.ly/3G2VACM [ბოლო ნახვა 17.11.2023].

აიძულებდნენ პროექტზე უარი ეთქვათ და სანქცირებული მოსამართლეებისთვის ამ ფორმით სოლიდარობა გამოეცხადებინათ.[212]

6.2.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა

17 მაისს საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 არამოსამართლე წევრი აირჩია.[213] კანდიდატების არჩევა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის უარყოფითად შეაფასა.[214] კოალიციის აზრით პარლამენტის მიერ კანდიდატების არჩევა ნათლად წარმოაჩენს მმართველი პარტიის მიერ „კლანის" მხარდაჭერას და ხელს უწყობს მათ ძალაუფლების შენარჩუნებას, რადგან აღნიშნულ კანდიდატები ვერ ხედავენ სისტემაში არსებულ მთავარ გამოწვევებს. სამწუხაროა, რომ ამ პროცესში მათ ოპოზიციის დეპუტატების ნაწილის მხარდაჭერაც ჰქონდათ.

2023 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა საბჭოში დარჩენილი 2 არამოსამართლე წევრის პოზიცია შეავსო და აღნიშნულ თანამდებობაზე გოგა კიკილაშვილი და ლევან ნემსაძე აირჩია.[215] უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატი გოგა კიკილაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილის შვილია, რომელმაც 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. გოგა კიკილაშვილმა უარყო, რომ საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა მის ნათესაურ კავშირებს უკავშირდება.[216]

6.2.3. საკადრო ცვლილებები

GDI-ის შეფასებით, მოსამართლეთა გავლენიანმა ჯგუფმა ასევე გაამყარა საკუთარი პოზიციები სასამართლო სისტემაში საკვანძო თანამდებობებზე „კლანის" ერთგული პირების დანიშვნით. 24 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ბადრი შონიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა

[212] იქვე.
[213] პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 ახალი წევრი აირჩია, იხ.: https://bit.ly/471F95L [ბოლო ნახვა 17.11.2023].
[214] კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევას ეხმაურება, იხ.: https://bit.ly/3QD8NHl [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[215] ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49tZLFv [ბოლო ნახვა 17.11.2023].
[216] განცხადება ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49D6i0s [ბოლო ნახვა 17.11.2023].

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრის თანამდებობა.[217] ამავე სხდომაზე კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობით (დამოუკიდებელი საბჭოს 7 წევრიდან 2-ს (1 მოსამართლე წევრს და 1 არამოსამართლე წევრს) ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან)[218] თანამდებობაზე განმწესდა დიმიტრი გვრიტიშვილი.[219]

2023 წლის 16 ივნისს, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა დამოუკიდებელი ინსპექტორი ზურაბ აზნაურაშვილი.[220] ამავე სხდომაზე საბჭომ იგი საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე განამწესა. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე კონკურსში 32 კანდიდატი დარეგისტრირდა, თუმცა მიღებული განცხადებები და თანდართული საბუთები მოთხოვნებთან შესაბამისობაში მხოლოდ 9 პირს ჰქონდა. აქედან გასაუბრება მხოლოდ 5-მა კანდიდატმა გაიარა. საბოლოოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე შოთა ქადაგიძე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრი (2017-2021) დაინიშნა.[221]

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ხაზი გაუსვა დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის პროცესის გაუმჭვირვალობას. მისი შეფასებით, დამოუკიდებელ ინსპექტორად კლანისადმი ლოიალურად განწყობილი პირის დანიშვნა საფრთხეს უქმნის დისციპლინირების პროცესის სანდოობას და ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის მნიშვნელოვან რისკებს ქმნის.[222]

2023 წელს გამოსაცდელი 3 წლიანი ვადით გამწესდა 1 ახალი მოსამართლე - ქრისტინე კოპალიანი,[223] ხოლო უვადოდ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე დაინიშნა 33 პირი.[224] უპეცედენტო შემთხვევა დაფიქსირდა ბოლნისის რაიონული

---

[217] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება N1/56 , იხ.: https://bit.ly/47x6Ras [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[218] საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხლი 66[3], ნაწილი 4.

[219] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება N1/57 , იხ.: https://bit.ly/3QXtnTl [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[220] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივნისი, იხ.: https://bit.ly/3QWIv4f [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[221] საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა - ივლისი, იხ.: https://bit.ly/47DUtFz [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[222] განცხადება ელექტრონულად ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MHvIR0 [ბოლო ნახვა 17.11.2023]

[223] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება N1/17, იხ.: https://bit.ly/47DO9hq, [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[224] 26 მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ განწესდა, იხ.: https://bit.ly/3MPZ9A6 [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/11, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/11-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].

სასამართლოს მოსამართლე ნინო გიორგაძის შემთხვევაში,[225] რომელიც ერთადერთი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეა, ვინც საბჭოს შემფასებელთა მოსაზრებით ვერ დააგროვა ქულათა საკმარისი რაოდენობა და მისი კანდიდატურა საერთოდ არ განიხილა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უვადოდ გასამწესებლად. კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების" შეფასებით, მიღებული გადაწყვეტილება, ნინო გიორგაძის საჯარო პოზიციონირება და სასამართლო სისტემაში არსებული უმძიმესი პრობლემები აჩენს დასაბუთებულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების მიღება არ მომხდარა კანონის საფუძველზე.[226]

6.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მიმდინარეობა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხდომათა მიმდინარეობა 2022 წლის მსგავსად 2023 წელსაც ქაოტურად მიმდინარეობდა. 2023 წელს საბჭოს სხდომებს მონიტორინგს დამოუკიდებლად უწევდა 3 არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის GDI.[227] მიუხედავად აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ძალისხმევისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომათა მონიტორინგი მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო სტრუქტურა განსაკუთრებული უპასუხისმგებლობით ეკიდებოდა საკუთარ საქმიანობას. წინამდებარე ქვეთავში სხდომათა შესახებ წარმოდგენილია მონაცემები/ინფორმაცია, რომლებიც ეფუძნება GDI-ის მიერ მონიტორინგს 2023 წლის პირველი იანვრიდან ამავე წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

2023 წელს ინფორმაცია სხდომათა დანიშვნის შესახებ **65-ჯერ გამოქვეყნდა**, აქედან დროულად 3 დღიანი ვადის დაცვით მხოლოდ **ერთი სხდომის შესახებ**.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/12, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/12-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/13, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/13-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/14, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/14-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/15, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/15-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/16, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/16-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება 1/19, იხ.: http://hcoj.gov.ge/Uploads/2023/3/19-2023.pdf [ბოლო ნახვა 17.11.2023].

[225] სასამართლო სისტემიდან მოსამართლეების დევნა გრძელდება, იხ.: http://www.coalition.ge/index.php?article_id=302&clang=0 [ბოლო ნახვა 18.11.2023].

[226] იქვე.

[227] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), საქართველოს სასამართლოს გუშაგი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA).

ინფორმაცია სხდომის შესახებ საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ძირითადად სხდომის დანიშვნამდე 1 დღით ადრე, არასამუშაო საათებში ქვეყნდება.

65 დანიშნული სხდომიდან **ჩატარდა მხოლოდ 30 სხდომა** (46%). სხდომათა გადადების შესახებ ინფორმაცია გონივრულ ვადებში არ ქვეყნდება საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე. (რამდენიმე შემთხვევაში ინფორმაცია სხდომის შესახებ ვებგვერდიდან აიღეს არასამთავრობო ორგანიზაციების მითითების შემდგომ). საბჭოს ცხელ ხაზსა და საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვისას (თუ ოპერატორმა ტელეფონს უპასუხა) ოპერატორს ხშირ შემთხვევაში არ აქვს ინფორმაცია სხდომის გადადების შესახებ, მათ შორის არც სხდომის დაწყებამდე 30 წუთით ადრე. სხდომა ხშირად უქმდება სხდომის დაწყებამდე 1 საათით ადრე, 30 წუთით ადრე, ან დანიშნული დროიდან რამდენიმე საათში (ძირითადად თუ სხდომა დათქმულ დროს არ დაიწყო, სხდომის გადადების შესახებ ინფორმაციას მონიტორინგის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საბჭოს მრავალ თანამშრომელს 40 წუთიდან 2 საათამდე დაგვიანებით აწვდიან). რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნულ პირთათვის სხდომათა ჩატარების შესახებ ინფორმაცია უცნობი იყო ღამის 9 საათის შემდგომაც.

სხდომები ძირითადად 10-15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს. იშვიათ შემთხვევებში როცა სხდომა 40 წუთი გრძელდება სხდომა ან არაორგანიზებულად იმართება, ან კონრეტულ პირებთან გასაუბრება იმართება. საბჭოს წევრთა ძირითადი ნაწილი სხდომის მიმდინარეობისას კვლავ არააქტიურია. განსხვავებული აზრი არ ფიქსირდება არც ახალი არამოსამართლე წევრების დანიშვნის შემდგომ. ყველა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღება. კენჭისყრის პროცესში განსხვავებული ხმა ფაქტიურად არ ფიქსირდება.

საბჭოს საქმიანობის გაუმჭვირვალობაზე ასევე მუთითებს ინსტიტუტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მიმართ უპასუხიმგებლო დამოკიდებულება. 2023 წლიდან საბჭოში დაიწყო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების გაჭიანურება. მაგალითად 07 თებერვალს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება 6 კვირიანი დაგვიანებით გამოქვეყნდა. ხოლო ივნისის თვიდან საბჭოს არცერთი გადაწყვეტილება აღარ გამოუქვეყნებია. უკანასკნელი გამოქვეყნებული გადაწყვეტილება, რომელიც საბჭომ სხდომაზე მიიღო ეხება 02 ივნისს შოთა გეწაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებას. 02 ივნისის შემდგომ საბჭოში 14 სხდომა ჩატარდა და თითქმის ყველა სხდომაზე საბჭომ რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღო.

7. პოლიტიკური პროცესები და ადამიანის უფლებები

7.1. ადამიანის უფლებები და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი

2022 წლის 03 მარტს საქართველომ ევროკავშირს წარუდგინა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, ხოლო აპრილში მიიღო თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც ევროკომისიას საქართველოს განაცხადის შესახებ მოსაზრება უნდა მოემზადებინა. მთავრობამ კითხვარის პირველი შევსებული ნაწილი ევროკავშირს 02 მაისს, ხოლო მეორე ნაწილი 10 მაისს გადასცა. 2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა საქართველოს განაცხადის შესახებ თავისი მოსაზრება, რომელშიც საქართველოს განუსაზღვრა ევროკავშირის წევრის კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელი 12 პრიორიტეტი. 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ მხარი დაუჭირა 12 პრიორიტეტს და აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა. ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 წინაპირობა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის კუთხით არსებულ მდგომარეობასა და მის გაუმჯობესებას, მათ შორის კი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მართლმსაჯულების რეფორმა, სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება, დეოლიგარქიზაცია, ანტი-კორუფციული ზომები, მედიაგარემოს გაუმჯობესება, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა და ა.შ.[228]

2023 წლის 08 ნოემბერს ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე.[229] ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ კომისია რეკომენდაციას უწევს ევროპულ საბჭოს, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, იმ პირობით, რომ გადაიდგმება გარკვეული ნაბიჯები რეფორმების განსახორციელებლად.[230]

ევროკომისიის ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, საქართველომ სრულად შეასრულა სამი რეკომენდაცია გენდერული თანასწორობისა და ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ახალი სახალხო დამცველის არჩევისა და სახალხო დამცველის აპარატის დამოუკიდებლობის და

[228] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 34-35, იხ.: https://tinyurl.com/yw9jks3k [ბოლო ნახვა 29.11.2023].
[229] საქართველოს პროგრესი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსისკენ: ევროკომისიის შეფასება, იხ.: https://civil.ge/ka/archives/569156 [ბოლო ნახვა 29.11.2023].
[230] ევროკომისიამ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა, იხ.: https://civil.ge/ka/archives/568370 [ბოლო ნახვა 29.11.2023].

სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გაითვალისწინების შესახებ.[231]

რაც შეეხება ჯერ კიდევ შეუსრულებელ/არასრულად შესრულებულ რეკომენდაციებს, განსახორციელებელ ზომებსა და რეფორმებს შორის დარჩა: არჩევნების მომწესრიგებელი კანონმდებლობის გაუმჯობესება და ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება; სასამართლო სისტემის, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ყოვლისმომცველი და ეფექტიანი რეფორმის განხორციელება სასამართლოებისა და პროკურატურის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად; ანტი-კორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გადახედვა შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით; დე-ოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება და კოორდინაცია-მონიტორინგის მოქნილი, ინკლუზიური მექანიზმის შექმნა; ევროსაბჭოს Moneyval-ის რეკომენდაციების შესრულება ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის ნაწილში; კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის გაძლიერება, მედია სექტორთან ნდობის ჩამოყალიბება, ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილი შემთხვევების გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა; 2021 წლის პრაიდის ღონისძიების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის ორგანიზატორების მიმართ გამოძიების გაგრძელება და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სამოქმედო გეგმის ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, გეგმის მიღება და იმპლემენტაცია; ყველა დონეზე სამოქალაქო საზოგადოებასთან სტრუქტურული დიალოგისა და ჩართულობის გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების რეალური მონაწილეობის შემაფერხებელი ან მზღუდავი ზომების მიღებისგან თავის შეკავება.[232]

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებით, ევროკომისიამ გააკრიტიკა 2023 წლის მარტში ე.წ. რუსული კანონის დაინიცირება.[233] ამასთანავე, ევროკომისიის ანგარიშის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების

[231] European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 12, იხ.: https://tinyurl.com/3rdpyfpm [ბოლო ნახვა 29.11.2023].
[232] იქვე, გვ. 9-12.
[233] იქვე, გვ. 16.

ფუნქციონირებისთვის საჭირო გარემო იყო პოლიტიკური ლიდერებისა და რადიკალური ჯგუფებისგან მზარდი თავდასხმების სამიზნე.[234]

სასამართლო სისტემის რეფორმასთან მიმართებით, ევროკომისიამ მიუთითა შეზღუდულ პროგრესზე. გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, ევროკომისიამ მიიჩნია, რომ შეუსრულებელია ძირითადი რეკომენდაციები. საჭიროა ფართო რეფორმა პროკურატურისა და სასამართლოს მთლიანი სისტემების, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოს, გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.[235]

ევროკომისიის შეფასებით, გამოწვევები რჩება თანასწორობის სფეროშიც. კერძოდ, პრობლემებს შორის დასახელებულია ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის არასათანადოდ აღსრულება, სიძულვილის ენის გამოყენება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების (მათ შორის 2021 წლის 5 ივლისისა და 2023 წლის 8 ივლისის ძალადობის) არაეფექტიანი გამოძიება, მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირების ფონზე რელიგიური უმცირესობების მიმართ უთანასწორო მოპყრობა (მათ შორის თავდაცვის კოდექსის დისკრიმინაციული მოწესრიგება სამხედრო ვალდებულებაზე), ლგბტქი+ თემის საჭიროებების უგულებელყოფა ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, თემის წინააღმდეგ სისტემური ჰომოფობია და პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად სიძულვილის გაძლიერება.[236]

ევროკომისიის ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხებიც. ევროკომისიის თანახმად, მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ მაღალი რანგის ოფიციალური პირებისა და პოლიტიკოსებისა და ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების დისკრედიტაციული რიტორიკის შედეგად შეიქმნა მედიის თავისუფლებისათვის მტრული გარემო.[237] გარდა ამისა, აქტუალურია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების საკითხი და პრობლემურია ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე ცილისწამების საფუძვლით შეტანილი სარჩელებისა და გადაწყვეტილებების გავლენა კრიტიკულ მედიაზე.[238]

---

[234] იქვე, გვ. 16.
[235] იქვე, გვ. 20.
[236] იქვე, გვ. 28, 29, 33, 37, 40-41.
[237] იქვე, გვ. 34.
[238] იქვე, გვ. 34-35.

შეკრების თავისუფლების თვალსაზრისით, ევროკომისიის ანგარიშში გაკრიტიკებულია 2023 წლის მარტის აქციების წინააღმდეგ არარპორპორციული ძალის გამოყენება და 2023 წლის 5 ოქტომბერს პარლამენტის მიერ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში მიღებული ცვლილებები, როგორც შეკრების თავისუფლების თვითნებური და არასაჭირო შეზღუდვა.[239] ასევე, უარყოფითად შეფასებულია საბჭოთა პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან პროცედურულ გარანტიებს და იძლევა შეკრების თავისუფლების თვითნებურად შეზღუდვის შესაძლებლობას.[240]

ევროკომისიის ანგარიშში მოცემული ზემოხსენებული შეფასებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მეტწილად ემთხვევა GDI-ისა და ევროკომისიის პოზიციები ადამიანის უფლებათა და სასამართლო სფეროებში პრობლემურ საკითხებზე, მათ შორის წინამდებარე ანგარიშში განხილულ გამოწვევებზე.

[239] იქვე, გვ. 36.
[240] იქვე, გვ. 37.